



21 ივლისი, ხუთშაბათი, 2011 წ. №10 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

# საყოველთაო პრივილეგიები სახელმწიფო ენის სწავლებისთვის



საქართველოს მრავალენოვანი მოსახლეობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობისა და დემოკრატიის პირობებში სოციუმის წევრთა სამართლებრივი თანაცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არაქართული წარმოშობის საზოგადოებისთვის მეორე, ანუ სახელმწიფო, ქართული ენის ცოდნაა. ბოლო წლებში, ამ მხრივ, არაერთი წარმატებული ნაბიჯი გადაიდგა, ამოქმედდა ენის სწავლების სპეციალური პროგრამები, გამოიცა სახელმძღვანელოები, გაუმჯობესდა არაქართველთათვის მეორე ენის სწავლების მეთოდოლოგია და პრაქტიკა. თუმცა, კვლავ არაერთი პრობლემა მოსაგვარებელი, რომელთა გადაჭრა პრაქტიკოსი პროფესორ-მასწავლებლებისთვისა და ამ პრობლემით დაინტერესებული მეცნიერ-მკვლევრების წინაშე დგას.

**ნიკო კაკულია  
მანანა ჯურსხაძე**

სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა 14-15 ივლისს ბათუმში, სასტუმრო „შერატონ ბათუმი პალასში“ გამართული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე — „სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები: პრობლემები და გამონაკლებები“, რომლის ორგანიზატორიც გახლდათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი. საკონფერენციო სხდომას, რომელიც საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო, თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიციანი უძღვევბოდა.

„ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სწავლების 20 წლიანი გამოცდილება მუდამ შეგვახსენებს იმ პრობლემას (თუმცა სასურველია პრობლემა არ იყოს), რომელიც ჩვენსაირ მრავალენოვან და მრავალკონფესიურ ქვეყანაშია. ჩვენი სურვილია, ქვეყანა ყველასთვის იყოს თანასწორულეებიანი და, აქედან გამომდინარე, ენის ცოდნა არის გარანტია იმ წარმატებისა, რასაც საქართველოში ნებისმიერმა ადამიანმა შეიძლება მიაღწიოს.“

➡ **მე-3 გვერდზე**

ბევრი რამ მართლაც გაკეთდა, სწორი ნაბიჯები გადაიდგა და მიხარია, რომ უნივერსიტეტში 200-მდე სომხური და აზერბაიჯანული წარმომავლობის სტუდენტი გვყავს, რომლებიც ქართულ ენას სწავლობენ. მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო ის საინტერესო პროგრამა, რომელიც განათლების სამინისტროს მიერ ამჟამად ხორციელდება. ვგულისხმობ რეგიონებში არაქართულენოვანი მოზარდებისთვის ქართული ენის სწავლის პროგრამას, რომელიც ჩართვას პრივილეგიების გარანტიით ბაკალავრებსა და მაგისტრანტებს შესთავაზებს“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა, რომელმაც ქართული ენის სწავლების პოლიტიკის გამყარებაზე ორიენტირებულ ქართველ თუ უცხოელ მკვლევრებს მადლობა გადაუხადა ამ თემის ირგვლივ შემუშავებული რეკომენდაციებისთვის და გამოცდილების გაზიარებისთვის. რაც შეეხება იმ აქცენტებს, რაც კონფერენციაზე დაისვა, ჩვენ სხდომებზე და სექციურ მუშაობაში ჩაბმულ რესპონდენტებთან ბლიც-ინტერვიუების სახით შემოგთავაზებთ.

ქიმიის სამყარო  
**ჩანართი**

**გამოცნადებული  
კონკურსები  
აკადემიური  
თანამდებობების  
დასაკავებლად**  
**მე-2 გვერდზე**

**„ქართულ  
საქართველოზე“  
მიმდინარე  
მეცნიერი**  
**მე-9 გვერდზე**

**ქსელური  
ტიქნოლოგიების  
განვითარება  
თსუ-ში**  
**მე-9 გვერდზე**

**ახლად შექმნილ  
ინტარნეტ-  
ტელევიზიას  
უკვე ღირაქტორი  
ჰყავს**  
**მე-10 გვერდზე**

**თსუ-ის სახელი  
ამერიკის  
ერთ-ერთი  
ყველაზე მაღალი  
ტრიბუნლიდან  
გაჟღერდა**  
**მე-10 გვერდზე**

**პირველი  
სამეცნიერო  
ნაშრომი  
სტუდენტური  
თვითმმართველობის  
სამართლებრივი  
სტატუსზე**  
**მე-10 გვერდზე**

## გზა, რომელიც სწორია

ნათქვამია, „ცხოვრება ის დღეები როდია, რომელიც ნავიდა, არამედ, რომელიც დაგვამახსოვრდა...“. აკადემიკოს ლევან ალექსიძის ცხოვრებაში ასეთი დასამახსოვრებელი დღეები და წლები ძალიან ბევრია... მან ეს თავისი მრავალწლიანი მოღვაწეობით დაამტკიცა. მწ წლის გადასახედვიდან ბევრი რამ გადაფასდა, მაგრამ მთავარი თვისება — ბედნიერების განცდა, არ დაუკარგავს. „ჩემთვის მცირე მიზეზიც კი საკმარისია, თავი ბედნიერად ვიგრძნო. ყველაზე მნიშვნელოვანი კი სხვისთვის სიკეთის კეთებაა... სხვათაშორის, რუსთაველის ცნობილი ფრაზა: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია“, ჩემი აზრით, სწორედ ამ მნიშვნელობით უნდა გავიგოთ“, — ამბობს მეცნიერი.

მდიდარი ბიოგრაფია აქვს, ამიტომ მეგობრები და კოლეგები მემუარების დაწერას ურჩევდნენ, მაგრამ არ მოსიურვია. უფრო სწორად, დროც არა აქვს — იგი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორიცაა. „სად მცალია მემუარების დასაწერად“, — ამბობს ლიმილით, თუმცა განვლილ წლებს სიამოვნებით იხსენებს.

\*\*\*

1926 წლის 5 ივლისს თბილისში, ხელმოკლე ოჯახში დაიბადა. მძიმე პერიოდი იყო და დაღვინებული ცხოვრება არც მე მქონია. დედისა და მამის სასაზღვრო ჯარების პოლკოვნიკი იყო და აშხაბადში მსახურობდა. 1916 წელს, მისი სიკვდილის შემდეგ, დედა და ბებია ბათუმში ჩამოვიდნენ საცხოვრებლად. მამაჩემიც სამხედრო პირი იყო და პეტერგურგში მსახურობდა, ბოლშევიკებისგან შევიწროების გამო გამოემგზავრა ბათუმში. სწორედ აქ გაიცნეს ჩემმა მშობლებმა ერთმანეთი. თბილისში ჩამოვიდნენ და „იმელის“ მოპირდაპირე მხარეს ერთი ოთახი იქირავეს და იქ დასახლდნენ. იმ სახლში გაიარა ჩემმა ბავშვობამ. დედისერთა ვიყავი, მაგრამ არავინ მანებივრებდა, საკმაოდ

მკაცრად მზრდიდნენ. 57-ე რუსული სკოლა დავამთავრე, ომში მინდოდა წასვლა, მაგრამ მშობლებმა არ გამიშვეს და სამხედრო საპაერო ძალების სპეცკოლაში მიმბარეს, სადაც კარგი განათლება და ცხოვრებისეული გამოცდილება შევიძინე. შემდეგ თელავში პრაქტიკებზე გავვაგზავნეს, სადაც მალარია მძვინვარებდა, რომელსაც ვერც მე გადავურჩი. იქიდან ჩამოსვლის შემდეგ გადავწყვიტე უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება. თავდაპირველად თბილისში, მოსკოვის ინსტიტუტის ფილიალში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავაბარე, ერთი წლის შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადავადგილდი. ჩემი მიზანი იყო სწავლა მოსკოვში, უმაღლეს დიპლომატიურ სასწავლებელში გამეგრძელებინა. გამოცდები წარმატებით ჩავაბარე

➡ **მე-4 გვერდზე**



# საყოველთაო პრივილეგიები სახელმწიფო ენის სწავლებისთვის

პირველი გვერდიდან

## პირველად საქართველოს ისტორიაში შეიქმნა ელექტრონული მეთოდოლოგია

**დიმიტრი შაჰინი**, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი:  
— რა კეთდება იმისთვის, რომ ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა, იყოს დაცული?

ჩვენ ორი თვის წინ გამოვაქვეყნეთ კონკრეტული შედეგი იმ მუშაობისა, რომელიც იყო განხორციელებული ერთი წლის განმავლობაში. ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ძალიან ბევრი კიდევ გასაკეთებელია.

განათლების სამინისტროში არსებობს სამმართველო, რომელიც მუშაობს იმ მიმართულებით, თუ რა შეიძლება გაკეთდეს და როგორ შეიძლება გაძლიერდეს ქართული ენის შესწავლის პროცესი როგორც ქართულენოვან საჯარო სკოლებში, ასევე, სომხურ და აზერბაიჯანულ სკოლებში. პირველად საქართველოს ისტორიაში შეიქმნა ელექტრონული მეთოდოლოგია, რაც ითვალისწინებს დახმარებას ყველა ქართული ენის პედაგოგისთვის მათთვის ქართულ ენაზე ნათარგმნი ტექსტების მონადეების თვალსაზრისით.

აზერბაიჯანთან და სომხეთთან ბოლო წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა ძალიან ამხანაგური ურთიერთობა და ყველას ძალიან კარგად ესმის, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ქართული ენის შესწავლა ნავახალისოთ სამცხეთ-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში. საქართველოს პრეზიდენტის დავალებით შეიქმნა სრულყოფილი სტრატეგია, თუ რა უნდა გაკეთდეს მომავალი სამი წლის განმავლობაში იმისთვის, რომ, როგორც სამცხეთ-ჯავახეთში, ასევე, ქვემო ქართლში მოსწავლეებს ქართული ენის გაძლიერებულად სწავლის საშუალება მიეცეთ. პროგრამას ჰქვია „ქართული ენა ნარმატივისთვის“, რაც რეალობა გახლავთ. თუ მოსწავლეს უნდა სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებელში, მან უნდა იცოდეს ქართული ენა.

პირველად საქართველოს ისტორიაში, ახლა, ამ წუთისთვის ინერგება ქართული ენის სახელმძღვანელოები როგორც სომხური სკოლებისთვის, ასევე, აზერბაიჯანული სკოლებისთვისაც. ეს იქნება ერთიანი სახელმძღვანელო ახალი მეთოდოლოგიით, როგორც აქვთ ოქსფორდის ან კემბრიჯის უნივერსიტეტებში ინგლისური ენის შესასწავლი სახელმძღვანელოს სახით — თანამედროვე დიზაინით, მეთოდოლოგიებით, აუდიო და ვიდეო მასალებით... ჩვენ, სამსუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთი ტიპის სახელმძღვანელოები ქართული ენის შესასწავლად დონეების მიხედვით არ გვაქვს. მეორე კომპონენტი ამ სტრატეგიისა არის ბილინგვური სწავლება, როდესაც ყველა საგნის 70% ისწავლება სომხურად ან აზერბაიჯანულად, 30% კი ქართულად. აღსანიშნავია, რომ პირველი 4 კლასის სახელმძღვანელოები უკვე გვექნება სექტემბრისთვის, წლის ბოლოსთვის იგეგმება I-VI კლასის ჩათვლით სახელმძღვანელოების გამოცემა, რომლებიც ინერგება ყველაზე თანამედროვე მეთოდოლოგიებით და ითვალისწინებს ყველა იმ მიღწევას, რომელიც არსებობს მსოფლიოში იმისათვის, რომ ბავშვმა ადვილად ისწავლოს ენა.

მომავალ წელს შეიქმნება ყველა სახელმძღვანელო საჯარო სკოლებში VII-XII კლასის ჩათვლით და ყველა სახელმძღვანელო იქნება გადათარგმნილი სომხურად და აზერბაიჯანულად, რამაც სომეხი და აზერბაიჯანული სპეციალისტები დაგვეხმარებინა.

15 სექტემბრიდან სამცხეთ-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში უკვე გაეშვება სახელმძღვანელოები სხვა პედაგოგები, რომლებიც არიან მაგისტრანტები ან მაგისტრანტობის კანდიდატები. თუ ისინი ერთი წლის განმავლობაში ადგილობრივ მასწავლებლებთან ერთად ბავშვებს ასწავლიან ქართულ ენას და მათ შორის ქართულად სხვა საგნებსაც, სახელმწიფო მათ მაგისტრატურაში სწავლების საფასურს დაუფინანსებს და ხელფასსაც მისცემს.

თსუ-ის როლი ამ პროგრამაში ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

## რაპიონებში „კადრების ვიშნობი“ ენის სწავლის მოტივაციას ზრდის

**ნოდარ სურგულაძე**, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე

— ბილინგვური განათლების რეფორმის პოპულარიზაციის მიზნით რას გეგმავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და რა შედეგებს გაეყვანება ამ რეფორმის შესახებ საზოგადოების ინფორმირებისთვის?

— არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის ენის პოლიტიკის გატარების მხრივ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შემუშავებული აქვს რიგი რეფორმებისა. ეს ინიციატივები, პირობითად, შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ: რეფორმები უმაღლესი განათლების სფეროში და რეფორმები სკოლის სფეროში.

დავიწყებ უმაღლესი განათლების თემით, რა კუთხითაც ხშირად გვსაყვედურობდნენ, რომ თითქოს არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის უმაღლესი განათლების გზა დაკეტილი იყო. ეს კრიტიკა ნაწილობრივ სამართლიანი გახლდათ მაშინ, როცა 2005 წლიდან ერთიანი ეროვნული გამოცდები შემოვიღეთ. მოგეხსენებათ, რომ უმაღლესი მოხვედრა ითხოვდა 4 გამოცდის (ზოგადი უნარები, ქართული ენა, უცხო ენა და ერთ-ერთი არჩევითი საგანი) ჩაბარებას. მიუხედავად იმისა, რომ ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე არაქართულენოვანი აბიტურიენტები ზოგადი უნარების გამოცდას თავიანთ მშობლიურ ენაზე, სომხურად ან აზერბაიჯანულად აბარებდნენ, მაინც მნიშვნელოვანი ბარიერი გახლდათ ქართული და უცხოური ენებისა და იმ საგნის დაძლევა, რომელიც მათთვის არამშობლიურ ენაზე, ანუ ქართულად, ბარდებოდა. ამიტომაც სტატისტიკის მიხედვით უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული ეთნიკური სომხებისა და აზერბაიჯანელების რაოდენობა ძალიან მცირე იყო. მაგალითად, 2005 წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხა 15 000-მდე სტუდენტი, 2010 წელს ეს რიცხვი 25 000-მდე გაიზარდა, ხოლო 2009 წლისთვის უმაღლეს სასწავლებლებში

კური უმცირესობების ინტეგრაციის სფეროში ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. მეორე სახის ღონისძიებები, რომლებიც პრეზიდენტის ინიციატივით განხორციელდა და უკვე 2011 წლიდან ამოქმედდება, ეხება სკოლებში ქართული ენის სწავლების საკითხებს. პროგრამამ „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“, რომლის ფარგლებშიც 1000 უცხოენოვან პედაგოგთან ერთად ადგილობრივი ინგლისური ენის მასწავლებლებიც ასწავლიან ინგლისურს, გაამართლა. სწორედ ამ პროგრამის მსგავსია ახალი პროექტი, რომელიც უკვე ქართული ენის სწავლებას ითვალისწინებს და რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი მოხალისე პედაგოგები, ასევე უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარული მიმართულების ბაკალავრები და მაგისტრანტები. ისინი რეგიონებში არაქართულენოვანი მოსახლეობას სახელმწიფო ენას ასწავლიან და იქვე იცხოვრებენ. შესაბამისად კი მათ დაუფინანსდებათ მაგისტრატურაში სწავლა და ამასთანავე მიიღებენ 500-ლარიან ხელფასს, რაც კარგ შემოსავლად ითვლება, თუკი გავითვალისწინებთ იმასაც, რომ თსუ-ში ასისტენტ-პროფესორის ხელფასი 450 ლარია. ვფიქრობთ, ამ ნაბიჯებით საქართველოში ქართული ენის ფლობის დონე საკმაოდ მაღლა აიწევს.

— ტენდენცია მართლაც საუფლისბოა, მაგრამ, საინტერესოა რა ზრდის ქართული ენის სწავლის მოტივაციას?



ჩარიცხულ არაქართულენოვან სტუდენტთა რაოდენობა, პირდაპირი გაგებით, თითქმის მისათვლიელი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ჩვენ ვიპოვეთ სოციალურად დაუცველი სტუდენტების დახმარების პროგრამა, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში მათი სწავლის სრულად დაფინანსებას ითვალისწინებს. კვოტის თანახმად ფინანსდებოდა 30 სომეხი და 30 აზერბაიჯანელი სტუდენტი, მაგრამ დასახმარებლად მოგვმართა მხოლოდ ორმა აზერბაიჯანელმა და ერთმა სომეხმა ახალგაზრდამ, ანუ მეტს არც ჩაუბარებია. ამ რეალობის გათვალისწინებით შევიტანეთ ცვლილება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში და დავინყეთ მიღება იმ არაქართულენოვანი აბიტურიენტებისა, რომლებიც ზოგად უნარებში გამოცდას მშობლიურ ენაზე აბარებდნენ. ისინი ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენას სწავლობენ და 60-კრედიტის ქართული ენის კურსის ნარმატივით დასრულების შემდეგ უშუალოდ გამოცდის გარეშე გააგრძელონ სწავლა იმავე უნივერსიტეტში ნებისმიერ ფაკულტეტზე. ამ ინიციატივის გატარებიდან ერთი წლის თავზე ასეთი სურათი მივიღეთ: ჩაბარდა და ამ ერთი გამოცდით სტუდენტი გახდა 187 აზერბაიჯანელი და 124 სომეხი ახალგაზრდა, ხოლო სულ ახალი მონაცემებით, 2011 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებულად დარეგისტრირებულია დაახლოებით 411 აზერბაიჯანელი და 352 სომეხი აბიტურიენტი.

გარდა ხსენებული ღონისძიებებისა, სახელმწიფო ვალდებულია იღებდეს, რომ 5 წლის მანძილზე საუკეთესო მოსწრების 100 აზერბაიჯანელი და 100 სომეხი სტუდენტი 100%-იანი სახელმწიფო გრანტით დააფინანსოს. ეს იყო ჩვენი დიდი წარმატება, რასაც ევროპის ქვეყნებში გამართული კონფერენციების შეფასებისას მუდამ აღნიშნავენ და გამოგზავნიან მეტყობინებებშიც გვწერენ, რომ საქართველომ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის სფეროში ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა.

მათ მოტივაციას ისიც ზრდის, რომ თუ ენა იცი, უფრო ადვილია თანამდებობის დაკავება, რადგან რეგიონებში „კადრების შიმშილია“, ანუ ცოტაა ისეთი კვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც, უბრალოდ, განცხადებას მაინც დანერს ქართულად. არაქართულენოვანი სკოლების დირექტორებიდან, რომელთა რიცხვიც საქართველოში 100-ზე მეტია, უმრავლესობა ქართულ ენაზე გამართულად ვერ მეტყველებს, არადა საქართველოში სკოლის დირექტორი სამინისტროსთან ურთიერთობის ენას, თუნდაც მოხსენების დასაწერად, უნდა ფლობდეს.

— ქართული ენის სწავლების პრობლემებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე პროფესორთა მხრიდან მოხსენების სახით გაკეთებული ექსპერტული დასკვნები რამდენად იქნება გათვალისწინებული?

— ყველა ის საკითხი, რაც კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო, ეხებოდა არსებული პრობლემების განხილვას. მოწვეული გვყავდა სტუმრები სხვადასხვა ქვეყნიდან, ჩამოვიყვანეთ სომხეთის განათლების მინისტრის პირველი მოადგილე, რომელმაც სომხეთში სახელმწიფო ენის სწავლების კუთხით არსებული ვითარება წარმოაჩინა. ასევე, მოვიმინეთ ბალტიისპირეთის ქვეყნების მაგალითები და, რაც მთავარია, ქართველ მეცნიერებთან რეკომენდაციები. ვფიქრობ, რომ კონფერენციამ ამ მხრივ მეტად საინტერესოდ ჩაიარა და ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, აისახება პროცესზე. განსაკუთრებით დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბათუმის უნივერსიტეტსა და მის რექტორს, ბატონ ალიომა ბაკურიძეს, რომლის უნივერსიტეტში

სექციური მუშაობის ფონზე სიღრმისეულად წარიმართა პრობლემების განხილვა. ვფიქრობ, რომ ხსენებული კონფერენცია წარმატებულად ჩატარდა.

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები, პრობლემები და გამოწვევები განსაკუთრებით აქტუალური თემაა საქართველოსთვის, სადაც ცალკეულ რეგიონებში მჭიდროდ არის დასახლებული არაქართულენოვანი მოსახლეობა. მათი სრულყოფილი ჩართვა ქვეყნის კულტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საგანმანათლებლო პროცესებში სახელმწიფოს მიერ ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად არის დასახული. განსაკუთრებით ბოლო წლებში სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის კვალდაკვალ საჭირო გახდა დასავლური გამოცდილების გაზიარება ენების სწავლების საკითხში, უცხოელი კოლეგების მიღწევების გაცნობა, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოში ამ კუთხით დაგროვილი გამოცდილების ურთიერთგაზიარება. აღნიშნული კონფერენციაც სწორედ ამ მიზნით დაიგეგმა. კონფერენციის ამოცანა ისიც გახლდათ, რომ არსებობდეს მეცნიერული მხარდაჭერა ქვეყანაში მიმდინარე სახელმწიფო ენის სწავლების პოლიტიკისთვის.

უკანასკნელ წლებში სახელმწიფო არაერთი ნაბიჯი გადადგა ეთნიკურ უმცირესობათა საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით, მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია უმაღლესი განათლების შესახებ კანონი 2009 წელს შეტანილი ცვლილებები, რომლის თანახმად უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ირიცხებიან მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის მშობლიურ ენაზე ჩაბარების საფუძველზე მათთვის მიზნობრივად გამოყოფილ ადგილებზე.

სახელმწიფოს მიერ მიღებულმა ამგვარმა გადაწყვეტილებამ, ე.წ. „სამწვანათო პოლიტიკამ“, საქართველოს მოქალაქე ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის რეალურად ხელისაწვდომი გახდა უმაღლესი განათლების მიღება, რადგან აღნიშნული წესით საქართველოს უნივერსიტეტებში ჩარიცხული ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტები, რომელთაც ზოგადი განათლება თავიანთ მშობლიურ ენებზე აქვთ მიღებული და ქართულს ცუდად ფლობენ, ხდებიან სპეციალურად მათთვის შედგენილი, ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი (60 კრედიტის) საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები. ამ პროგრამის გავლა წარმოადგენს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების ნინაპირობას. პროგრამის ნარმატივით დასრულების შემდეგ კომუნიკაციის ძირითადი ინსტრუმენტის, სახელმწიფო ენის დაუფლების შედეგად კურსდამთავრებულები შეძლებენ სრულფასოვნად ჩართონ უმაღლესი განათლების პროცესი საუფლებო საზოგადოების შემდეგ მათ შორის. ისინი სწავლას აგრძელებენ სახელმწიფო ენაზე მათ მიერ არჩეული უნივერსიტეტის მათთვის სასურველ ფაკულტეტზე.

რა არის ამ პროგრამის მიზანი? უპირველეს ყოვლისა ქართულის, როგორც მეორე ენის შესწავლა იმ დონეზე, რომ სტუდენტებმა საქართველოს უნივერსიტეტებში შეძლონ განათლების მიღება ქართულ ენაზე, ამ პროგრამამ უნდა უზრუნველყოს არაქართულენოვანი სტუდენტების საკომუნიკაციო უნარების იმ დონემდე განვითარება, რომ მისი დასრულების შემდეგ სასწავლებლების კურსდამთავრებულებმა შეძლონ განსხვავებულ სხვადასხვა სივრცეში ქართულ ენაზე კომუნიკაცია. ამ საგვადღებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მათ შეუძლიათ უნივერსიტეტში კიდევ 4 წლის მანძილზე ქართული ენის სრულყოფილად შესასწავლად დამატებითი სალექციო კურსები მოისმინონ.

არ შეიძლება არ აღვნიშნო ამ პროგრამის ხელმძღვანელის განსაკუთრებული როლის შესახებ — ეს გახლავთ კახა გაბუნია, რომელმაც ირგვლივ შემოიკრიბა ჯგუფი სპეციალისტებისა და შეიქმნა პროგრამა, რომელმაც ნამდვილად იმუშავა. თუმცა ჩვენ ვხედავთ, რომ ამ პროგრამას სჭირდება დახვეწა. მომავალი სასწავლო წლისთვის მოდერნიზებული სახით ჩვენ უკვე გვაქვს ეს პროგრამა, რომელიც თსუ-ის აკადემიური საბჭოს სხდომაზე უკვე დაამტკიცეს.

— რა პრობლემებს აწყდებით პროგრამის განხორციელების პროცესში?

— პრობლემებთან გამოყოფილი არა უშუალოდ სწავლების პროცესთან დაკავშირებული საკითხებს, არამედ იმას, რაც ჩვენ საკუ-

# გზა, რომელიც სწორია

## პირველი გვერდიდან

გინე. დაცვის დროს ერთერთმა ოპონენტმა სერიოზული პრობლემა შემიქმნა, მაგრამ უკან არ დავიხიე და მაშინდელ საგარეო საქმეთა მინისტრს ვიშინესკის ნერილი მივწერე, რომელსაც საქმის გარემოება ვაგავცანი. მან წერილობითი მაცნობა, რომ ჩემს მოსაზრებას იზიარებდა. სწორედ მისი დასტურის შემდეგ შევეძლი საკანდიდატოს დაცვა. სხვათაშორის, ვიშინესკი უკვე იცნობდა ჩემს ნაშრომს, რომელიც სუვერენიტეტის თემაზე დაწერილი და წერილის მიწერა ამანაც გამაბედინა.

1950 წელს უნივერსიტეტში დავბრუნდი და იურიდიულ ფაკულტეტზე ასისტენტად დავინწყე მუშაობა.

## ნარმატაჰები სამეცნიერო და საზოგადოებრივ ასპარეზზე

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ლევან ალექსიძე „საერთაშორისო სამართლის“ პირველი ქართველი მეცნიერია. მან პირველმა დაიწყო საქართველოს საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკის ისტორიული ასპექტების შესწავლა. მისი შრომები ეხება საქართველოს რომის იმპერიასთან ურთიერთობას, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას XI-XIII საუკუნეებში და სუვერენიტეტის ქართული კონცეფციის ჩამოყალიბებას, უცხოელთა უფლებრივ მდგომარეობას საქართველოში XII საუკუნეში, XV-XVIII საუკუნეებში საქართველო-რუსეთის ურთიერთობის სამართლებრივ ასპექტებს. მეცნიერი სამართლიანად ითვლება ერთ-ერთი ურთულესი პრობლემის — „იმპერატიული ნორმები (jus cogens) საერთაშორისო სამართალში“ საერთაშორისო ექსპერტად.

ლევან ალექსიძეს ხშირად ინვევენ საზღვარგარეთ ამ თემაზე ლექციების წასაკითხად, კონსულტაციების მისაღებად თბილისში ჩამოდიან სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები, გზავნიან წერილობით შეკითხვებს. აღსანიშნავია, რომ 1981 წელს ლევან ალექსიძემ მიიწვიეს ლექციების წასაკითხად საერთაშორისო სამართლის ჰააგის აკადემიაში, სადაც მოეწყო jus cogens-ის პრობლემათა კომპლექსური შესწავლა. პროფესორ ლევან ალექსიძის ლექციები ინგლისურ ენაზე დაიბეჭდა ჰააგაში. მისმა მონოგრაფიამ „საერთაშორისო სამართლის თეორიის საკითხები: იმპერატიული ნორმები“ — jus cogens დიდი გამოხმაურება ჰპოვა საერთაშორისო სამართლის მსოფლიო დოქტრინაში. 1985 წელს მას მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერების დარგში.

1964 წლის აპრილში ლევან ალექსიძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე — „საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში“ (საერთაშორისო, სამართლებრივი გამოკვლევა).

1970-1977 წლებში ლევან ალექსიძემ მივლინებული იყო საზღვარგარეთ — ნიუ-იორკსა და ჟენევაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის მაღალი რანგის თანამდებობის პირად; 1971-1975 წლებში იგი დაიკრიშინა დამუშავებისა და ეროვნული უმცირესობათა დაცვის ქვეკომისიის მდივნად მუშაობდა; 1975-1976 წლებში საკონსულტაციო სამსახურისა და სპეციალური დავალებების სექციის გამგედ დაინიშნა, სადაც დროებით ასრულებდა ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობას, აგრეთვე, გაეროს გენერალური ასამბლეის მესამე კომიტეტისა და ადამიანის უფლებათა კომისიის მდივნის მოვალეობას, გაეროს გენერალური მდივნის ოფიციალური წარმომადგენლის ფუნქციას მის მიერ ორგანიზებულ გაეროს სემინარებზე. ამ პერიოდში მან მოამზადა და ჩაატარა მთელი ორი საერთაშორისო სემინარები ადამიანის უფლებათა სხვადასხვა საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტის თაობაზე (ჟენევა, ვენა, ტუნისი, კანბერა). განაგებდა გაეროს „ადამიანის უფლებათა ბიულეტენისა“ და „ადამიანის უფლებათა ყოველწლიურის“ მომზადებას და გამოცემას.

1977-1978 წლებში ლევან ალექსიძემ კვლავ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორია, ხოლო 1978 წლიდან — სამართლის საფუძვლებისა და საერთაშორისო სამართლის კათედრის გამგეა. 1985-1992 წლებში იგი თსუ-ის პრორექტორია სასწავლო მუშაობის დარგში.

1988 წელს პროფესორ ლევან ალექსიძეს



## მრწამსი

— ბატონო ლევან, თქვენი უნივერსიტეტში მრავალწლიანი მოღვაწეობის მანძილზე რთული პერიოდებიც გქონიათ. ცნობილია თქვენი შემართება და თავდადება, რომელსაც სტუდენტების დასაცავად იჩენდით. დღეს როგორ გაიხსენებდით იმ წლებს?

— სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, ჩემთვის მთავარი იყო ჩემი ქვეყნისთვის სასარგებლო საქმე მეკეთებინა და პრინციპებისთვის არ მეღალატა. რადიკალიზმი ადვილია, მაგრამ მე ყოველთვის ოპტიმალურ გზას ვეძებდი. არც სიმართლის თქმის შემშინებია არასდროს და არც უკან დამიხვივია, როდესაც ვხედავდი, რომ უსამართლობა ხდებოდა. მოგეხსენებათ, 1970 წელს საზღვარგარეთ, გაეროში სამუშაოდ გავემგზავრე, სადაც მაღალი რანგის ჩინოვნიკი ვიყავი. 1977 წელს დავბრუნდი, 1985 წელს კი დავინიშნე პრორექტორად, 1992 წელს უნივერსიტეტში ფაკულტეტი დავაარსე.

ყველასთვის ცნობილია, რაოდენ მძიმე იყო 80-90-იანი წლები საქართველოსთვის. ყოველთვის ვცდილობდი, ახალგაზრდები პოლიტიკური თამაშებისგან დამეცვა. მახსოვს, როდესაც ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ზურაბ ჭავჭავაძე, ირაკლი წერეთელი დაიჭირეს, უნივერსიტეტს საპროტესტო ტალღამ გადაუარა, მაშინ კინალამ სისხლიც დაიღვარა და ვამაყობ იმით, რომ უნივერსიტეტმა ეს საფრთხე აიცილა. იყო პერიოდი, როდესაც უნივერსიტეტში ორი ათასი კაცი იკრიბებოდა, მეც გამოვდიოდი და ჩემ აზრს ვაფიქსირებდი. ყოველთვის ვაფრთხილებდი პოლიტიკურ ძალებს, რომ უნივერსიტეტი აკადემიური დაწესებულებაა და აქ პოლიტიკური პერიპეტები არ ადგებიან არ იყო. სტუდენტებს არც 9 აპრილს მოვუბრძობივარ გვერდიდან. 10 აპრილს უნივერსიტეტს რუსეთის ჯარმა ალყა შემოარტყა. უნივერსიტეტში კაკო ბაქრაძე ატარებდა მიტინგს. ჩემდა ზედად, მეორე მხარეს თვალის მოგვარი ჩემს ყოფილ სტუდენტს, რომელიც კაპიტნის რანგში იყო მოსული და ვთხოვე ნახევარი საათი მოეცა, რათა ხალხი აუდიტორიებში შემეყვანა. ჩემთან ერთად იყო ვახტანგ გოგუაძე. ჩვენი თხოვნით სტუდენტები აუდიტორიაში შევიდნენ. საფრთხე რეალური იყო და ამ გადასახედიდან ვამაყობ, რომ ერთი წვეთი სისხლიც არ დაიღვარა.

— საკმაოდ საინტერესო ბიოგრაფია გაქვთ, არანაკლებ მნიშვნელოვანია თქვენი პოლიტიკური მოღვაწეობა, რადგან ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობდით სხვადასხვა ხელისუფლებასთან და ყოველთვის მოვლენების ეპიცენტრში იყავით...

— ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდში პარლამენტში კომუნისტური პარტიის სიით მოვხვდი. თავიდან არ მიწოდოდა, მაგრამ მერე დავთანხმდი. მაგრამ როდესაც მათ მიერ გახვთში ცრუ ინფორმაცია დაიწერა უნივერსიტეტზე, თითქოს იქ მაშინდელი რექტორი ნოდარ ამალობელი მარმარილოს კაბინეტს აკეთებდა, ძალიან გავზრახდი და მიუფიცე მათ კომუნისტური პარტიის ბილეთი. იმავე დღეს დავწერე განცხადება პარლამენტის თავმჯდომარის, ზვიადის სახელზე, სადაც პარლამენტში უფლებამოსილების შეწყვეტას ვითხოვდი. გულწრფელად ვფიქრობდი, რომ მორალური უფლება არ შეიძლება პარლამენტში დავრჩენილიყავი. ზვიადმა ჩემი საკითხი პარლამენტის სხდომაზე გაიტანა, სადაც მიიღეს გადაწყვეტილება ჩემი დატოვების შესახებ. იმ პერიოდში შეიქმნა ახალი საარჩევნო კანონი, რომლის დაწერაში აქტიური მონაწილეობა მივიღე. სწორედ ამ კანონის მიღების შემდეგ მოვიდა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება სათავეში. მოსკოვის „პუტჩის“ შემდეგ ზვიადმა კომუნისტების გადგება მოინდომა პარლამენტიდან, მეც დავაპირე ნასვლა, მაგრამ ზვიადი არც მაშინ დამთანხმდა. იგი ხედავდა, რომ გულწრფელი ვიყავი და ამას აფასებდა. თუმცა მაშინ გამოვედი პარლამენტიდან. 1991 წელს 31 მარტს საქართველოში რეფერენდუმი ჩატარდა, 9 აპრილს კი სახელმწიფოებრიობა აღდგა. ვამაყობ, რომ ამ ისტორიულ დოკუმენტს ხელი შევსწავლე. მაშინ მოსკოვში მივფრინავდი და ჩემი გულისთვის ზვიადმა თვითმფრინავი გააჩერა. ეს დიდი ზეიმი იყო თითოეული ქართველისთვის.

— ამის შემდეგ კი შევარდნაძის მრჩეველი იყავით...

— როდესაც შევარდნაძე საქართველოში

ჩამოვიდა, მე უნივერსიტეტში ვაგრძელებდი ჩემს მოღვაწეობას. თან სახელმწიფო საბჭოს წევრი ვიყავი.

პარლამენტის წევრობა შევარდნაძემაც შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი, თუმცა მან თავის მრჩეველად დამნიშნა საერთაშორისო სამართლის სფეროში. მასთან მუშაობის პერიოდში, ძირითადად, აფხაზეთის საკითხებზე ვმუშაობდი.

— თუმცა, შევარდნაძე არჩევნების გაყალბებაში ერთ-ერთმა პირველმა ამხილეთ.

— ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, ჩემი პრინციპები მაქვს და არც არაფრის მეშინია. მთელი მოღვაწეობის მანძილზე სულ მაღალი პოსტები მეკავა და იყო პერიოდი, ფულის შოვნაც შემეძლო, მაგრამ უკადრებელი არ მიკადრია, ჩემი სინდისისთვის არ მიღალატია, ამას აფასებდა ყველა ხელისუფლება. როდესაც შევარდნაძის ხელისუფლებამ არჩევნები გააყალბა, მას მე და თედო ჯაფარიძემ ვურჩიეთ, რომ ბათილად ეცნო შედეგები — თუმცა არ დაგვიჯერა. ამის შემდეგ გამოვაქვეყნე ჩემი წერილი — „ჩემი არჩევანი“, სადაც მას ამის შესახებ ბრალდება წავუყენე. ეს კიდევ ერთი საფეხური იყო ჩემს ცხოვრებაში.

— ბატონო ლევან, თქვენ საქართველოში საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლად ითვლებით. როგორ გაიარეთ ეს გზა და განხილეთ რა ეტაპზეა ამჟამად ეს დარგი?

— საბჭოთა კავშირის დროს ეროვნულ ენაზე სახელმძღვანელოს დაწერა არ შეიძლებოდა, თუმცა ამ დარგში პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე ჯერ კიდევ 1968 წელს დავწერე. ამის შემდეგ გამოვიდა სხვა სახელმძღვანელოებიც. ჩემი პრორექტორობა, გარკვეულწილად, დამეხმარა იმაში, რომ ჩამოყალიბებ ცალკე ფაკულტეტი, რომელიც სულ მოკლე ხანში საუკეთესო გახდა, თუმცა, რეფორმების შედეგად, როგორც მიმართულა, იურიდიულ ფაკულტეტს შეუერთდა. მსოფლიოში უკვე ყველასთვის ცნობილია, რომ არსებობს ქართული საერთაშორისო სამართლის სკოლა. ჩვენი ფაკულტეტის დეკანის, ირაკლი ბურდულის ხელშეწყობით დღეს მიმართულებაზე მაღალ დონეზე მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. ჩემი მოსწავლეები ღირსეულად აგრძელებენ ამ მიმართულებით მუშაობას. ჩვენი ინსტიტუტი სხვა სახელმძღვანელოების გამოცემაზეც მუშაობს. ჩემი ნაშრომებიც უნდა გამოვეცი წიგნად. 26 მაისს საქართველოში საერთაშორისო სამართლის განვითარებისათვის საქართველოს პრეზიდენტმა „ბრწყინვალეების ორდენით“ დამაჯილდოვა.

— ბატონო ლევან, სამეცნიერო მოღვაწეობის გარდა სხვა რა გატაცება გაქვთ?


— ახალგაზრდობაში ვძერწავდი, ვხატავდი, ერთი პერიოდში სამხატვრო აკადემიაშიც ვსწავლობდი და მეგობრების პორტრეტებს ვაქანდაკებდი. გიტარაზე დაკვრა და სიმღერაც შემეძლო, ვწერდი სცენარებს. სხვათა შორის, ჩემი ორი სცენარის მიხედვით ფილმებიც არის გადაღებული. გარეგნულად შეიძლება მშვიდი ადამიანის შთაბეჭდილებას ვტოვებ, მაგრამ ემოციური და მღელვარე ადამიანი ვარ.

— ამ გადასახედიდან როგორ შეაფასებთ თქვენს მიერ განვლილ გზას?

— ამდენი, ალბათ, არასდროს მისაუბრია საკუთარ ცხოვრებაზე. უკან მოხედავსა არ მეშინია. ჩემი დღეები ილევა, არ ვიცი, კიდევ რამდენი წელი დამრჩა, მაგრამ ერთი რამ ზუსტად ვიცი, კვლავ ჩემი მრწამსის შესაბამისად ვიცხოვრე. მშვიდი ცხოვრება არასდროს მქონია, მაგრამ ზედს არ ვემდღური. ამას ნინთა ბატონმა ალექსანდრე კვიციანიძემ მითხრა, ბედნიერი ადამიანი ხარო, რომ თქვენ მოსწავლეებს ასე უყვარხარო. ეს მართლაც ასეა. გარდა ამისა, მიხარია, რომ კვლავ უნივერსიტეტში ვარ და ჩემს გამოცდილებას ვუზიარებ ახალ თაობას. სასიხარულო და მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტს მართლაც ღირსეული ხელმძღვანელობა ჰყავს, მათთან ერთად მუშაობა სასიამოვნოა. ბევრი გეგმები გვაქვს და ვიცი, რომ მრავალი მათგანი წარმატებით განხორციელდება.

ჩინელი ფილოსოფოსი ამბობდა: „გზა მიზანი და მიზანი გზაა...“ ლევან ალექსიძის ცხოვრებას ეს ფრაზა შეეფერება.

მომზადდა შპრისინა ბაროშვილმა



International Year of  
**CHEMISTRY**  
2011

# ქიმიის სამყარო

## გლობალური მიზანი — უსაფრთხო წყალი



წყალი ჩვენი პლანეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, შეუცვლელი რესურსია. დადამინის ზედაპირის 70%-ს წყალი შეადგენს. მიუხედავად ბუნებაში ფართოდ გავრცელებისა, მთელ მსოფლიოში მწვავედ დგას სასმელი წყლის პრობლემა.

ტექნიკურ პროგრესს თან ახლავს გარემოს დაბინძურების მატება და პირველ რიგში - წყლის გაჭუჭყიანება. ხშირად მდინარეებში, ზღვებსა და ოკეანეებში მრავალი სხვადასხვა სიცოცხლისათვის საშიში ნივთიერება ჩაედინება. დაბინძურებისგან წყლების დაცვის ძირითადი ღონისძიება იმ მეთოდების დანერგვაა, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავენ ჩამდინარე წყლების ნარმოქმნას...

მთელი მსოფლიო ჩართულია პროექტში „უსაფრთხო წყალი“, რაც ქიმიის წელთან დაკავშირებით უფრო აქტიურად გამოიხატა მოსწავლეებისა და სტუდენტების ჩართვით წყლის ექსპერიმენტებში.

ქიმიის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც ჩაერთო წყლის ექსპერიმენტში და ქიმიის მიმართულების დახმარებით 2011 წლის საზაფხულო სამეცნიერო აკადემიის მოსწავლეებმა ჩატარეს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოტანილი წყლის ნიმუშების ანალიზი. მათ შორის იყო მდინარეების, შავი ზღვის, ტბების, წყაროების და ჭიდან აღებული წყალი. მათ დაადგინეს წყლების pH, მჟავიანობა, ფუძიანობა. აღნიშნული ექსპერიმენტის შედეგები დაფიქსირებულია ინტერნეტში შემდეგ მისამართზე IYC - <http://water.chemistry2011.org/web/iyc/experiment1-results>, სადაც მსოფლიო რუკაზე საქართველოს აქტივობაც მოინიშნა აღნიშნული კუთხით. მიღებული მონაცემებით მოსწავლეებმა მცირე წვლილი შეიტანეს საქართველოს სახელით გლობალური წყლის ექსპერიმენტში.

## ცეცხლის ლიკვიდაცია შესაძლებელია იაფი და ეკოლოგიურად სუფთა ადგილობრივი ნედლეულით...


ხანძრები მსოფლიო ცივილიზაციის გადაუწყვეტელი პრობლემაა. მეტად საგანგაშოა ხანძრებისაგან მიყენებული ზარალის კატასტროფული ზრდაც. ხანძრები აზიანებს მცენარეთა საფარს და აბინძურებს ნიადაგს. ხშირია ხანძრების შედეგად გამოყოფილი ტოქსიკური აირებით მოსახლეობისა და ცხოველების მოწამვლისა და ხუთვის შემთხვევები. ამიტომაც მთელი მსოფლიოს წინაშე მწვავედ დგას პრობლემა ხანძრების ლოკალიზაციის, ლიკვიდაციისა და ისეთი პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ წვის პროცესების შედეგად გამოყოფილი ტოქსიკური აირების შემცირებას, ეკოლოგიურად სუფთა და იაფი ცეცხლმაქრი პროდუქტის შექმნას. ასეთი ღონისძიებებიდან მეტად აქტუალურია ეფექტური ცეცხლმაქრი საშუალებების გამოყენება.

ამ პრობლემაზე მუშაობდნენ თსუ-ის თანამშრომლები: პროფესორი გ. ბეზარაშვილი, ქიმიის დოქტორი დ. ფეტვიაშვილი და ქიმიის დოქტორი კ. სულაბერიძე. გრ. ნულუკიძის სახელობის სამთო ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად (სამუშაო ჯგუფის მენეჯერი — ქიმიის დოქტორი ლალი ლურჯაშვილი, სამეცნიერო ხელმძღვანელი — პროფესორი

გურამ აბაშიძე) მიღებული შედეგების საფუძველზე შემუშავებულია ახალი, ეკოლოგიურად სუფთა, არატოქსიკური ცეცხლმაქრი ფხვნილები ადგილობრივი მინერალური ნედლეულის ბაზაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრეთ თსუ-ის პროფესორს, ბატონ ბიორბი ბეზარაშვილს:

— სადღეისოდ ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ცეცხლმაქრ საშუალებებს წარმოადგენენ ცეცხლმაქრი ფხვნილები. თანამედროვე სერიული წარმოების ასეთი ფხვნილები მცირედ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, სათანადოდ ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს, უპირველეს ყოვლისა, ეფექტური და უნივერსალური გამოყენების თვალსაზრისით, რადგან მათი უმეტესობა ჰალოგენშემცველია. ერთმნიშვნელოვნად დადგენილია, რომ ჰალოგენის მოხვედრა ატმოსფეროში იწვევს ოზონის შრის გარღვევას. დღეისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს უჰალოგენო, არატოქსიკური, ეკოლოგიურად სუფთა ცეცხლმაქრი ფხვნილების შემუშავება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საზღვარგარეთ დამზადებული ცეცხლმაქრი ფხვნილები გამოირჩევიან მაღალი თვისებრივებით.



კვლევით ლაბორატორიაში — დ. ფეტვიაშვილი და გ. ბეზარაშვილი

სამუშაო ჯგუფმა შეამოწმა საქართველოს ბუნებრივი მინერალური ნედლეულები — თიხაფიქალები, ცეოლითები და პერლიტები. განისაზღვრა მათი ფხვნილების ეფექტურობა, ცეცხლმაქრობი უნარი და ექსპლოატაციური მახასიათებლები.

პარალელურად თსუ-ის ფიზიკური ქიმიის სასწავლო-კვლევით ლაბორატორიაში გამოიკვლიეს ამავე ზედაპირზე წვის პროცესის ერთ-ერთი ნაწილი აქტიური ცენტრების — ფანგბადის ატომების ჰეტეროგენული რეკომბინაცია ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის მეთოდის გამოყენებით. როგორც ცნობილია, რეკომბინაციის კოეფიციენტი წარმოადგენს ფხვნილების ეფექტურობის ერთ-ერთ (მაგრამ არა ერთადერთ) მაჩვენებელს. აღმოჩნდა, რომ ამ კოეფიციენტის რიცხვითი მნიშვნელობები საკმაოდ მაღალია და უახლოვდება ტუტე მეტალთა ჰალოგენიდების შესაბამის მაჩვენებელს, რომლებიც ცნობილია, როგორც აქტიური, მაგრამ საკმაოდ ძვირი ცეცხლმაქრი ნაერთები.

სამთო ქიმიის ინსტიტუტში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ჯგუფის მიერ გამოკვლეული იაფი მინერალური მასალები და მათი ნარევი გამოირჩევიან მაღალი აქტიურობით, კარგი ექსპლოატაციური თვისე-

ბებით და შესაძლებელია ფხვნილების სხვადასხვა თანაფარდობით აღება.

ჩვენი ერთობლივი კვლევების შედეგად ადგილობრივი, იაფი მინერალური ნედლეულის ბაზაზე შემუშავებული იქნა ახალი მალაქტივური, უნივერსალური ცეცხლმაქრი ფხვნილების რეცეპტურები, რომლებიც არ მოითხოვენ დამატებით ქიმიურ გადამამუშავებასა და ძვირადღირებული ჰალოგენშემცველი ჰიდროფობიზატორების შეყვანას. მათი გამოყენება შესაძლებელია როგორც მინისზედა, ასევე, მინისქვეშა ნაგებობებში, როგორც ლია, ისე დახშულ სივრცეში. აღნიშნული სამუშაო დაპატენტებულია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის მიერ (პატენტი 11528/01).

ჩვენმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სათანადო ხელსაწყო, რომლითაც შესაძლებელია ლაბორატორიულ პირობებში შემოწმდეს ფხვნილების ცეცხლმაქრი უნარი. სამომავლო იგეგმება ისეთი ცეცხლმაქრი საშუალებების რეცეპტურათა შემუშავება, რომლებიც ფხვნილებთან ერთად შეიცავენ ქაფებსაც.

მომზადდა  
ქიმიის დოქტორმა  
მანანა კვიციანიძემ

# სასწავლო პრაქტიკის შედეგებით არსი

სტუდენტთა პროფესიული დასტავების მიზნით გათვალისწინებულია სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის გავლა, რაც ითვალისწინებს შეძენილი თეორიული ცოდნის გაღრმავებას და კვლევის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას პრაქტიკულ საქმიანობაში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიდი ყურადღება ექცევა სტუდენტთა თეორიული ცოდნის გაღრმავებას პრაქტიკული მეცადინეობების უნარ-ჩვევებით. სწავლების ეს ფორმა მთლიანი პროცესის განუყოფელი ნაწილია. პრაქტიკის ძირითადი დანიშნულებაა პროფესიული ჩვევების გამომუშავებისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების მიზნით წარმოების პირობებში სწავლის გაგრძელება.

პრაქტიკა ეფექტურია იმ შემთხვევაში, თუ მისი მიზნები და მოსალოდნელი სწავლის შედეგები მკაფიოდ და განსაზღვრული და გასაღები ყველა დინამიკური მხარისათვის (სტუდენტი, დამსაქმებელი, პრაქტიკის ხელმძღვანელი და მენტორი). პრაქტიკის მნიშვნელობა სტუდენტებისთვის არის:

- ◆ ჩართვა იმ პროცესებში, რომლებიც არაა იოლად მისაღწევი უნივერსიტეტში (თანამედროვე ტექნოლოგიები, სამუშაო გარემო და საქმიანი ურთიერთობები);
  - ◆ პრაქტიკული უნარების განვითარების გზით უკეთ მომზადება მომავალი პროფესიული საქმიანობისთვის;
  - ◆ კურსდამთავრებულთა სამომავლო დასაქმების ხელშეწყობა;
- სტუდენტების განაწილება საწარმოებში ტარდება შესაბამისი საწარმოს მხარდაჭერითა და მასთან თანამშრომლობით.
- ვსაუბრობთ რა საწარმოო პრაქტიკაზე, მისი შემეცნებითი მხარის გარდა, აღსანიშნავია ის ზოგადი პროფესიული უნარ-ჩვევები, რასაც პრაქტიკის მიმდინარეობისას იძენს სტუდენტი. ის უნდა იყოს კოლექტივის, სწავლობს ამა თუ იმ საწარმოს სპეციფიკას და, ბოლოს, უნივერსიტეტში დაგროვებულ ცოდნას ამყარებს პრაქტიკული საქმიანობით.
- 2011 წელს საწარმო-პროფესიული პრაქტიკა ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტებმა გაიარეს ორ ობიექტზე: „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“-სა და „ჯორჯიან ეკო“-ში.
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერე-

ბათა ფაკულტეტზე, კერძოდ, ქიმიის მიმართულეებზე, აღნიშნულ საკითხებს ხელმძღვანელობს მაკრომოლეკულური ქიმიის ლაბორატორიის გამგე, ქიმიის დოქტორი ელიზა მარქარაშვილი.

რამდენიმე სტუდენტს ვთხოვეთ საწარმოო პრაქტიკის შესახებ თავისი შთაბეჭდილება გაეზიარებინათ:

### დარეჯან ბალახაძე (2010 წლის პრაქტიკანტი):

— საწარმოო პრაქტიკა გავიარე მევენახეობის, მეღვინეობის და მებაღეობის კვლევით ინსტიტუტში. ჩემი ხელმძღვანელი გახლდათ ქალბატონი მარინა ბეჟუაშვილი. ჩემთვის პრაქტიკა იყო როგორც შემეცნებითი, ასევე, სახალისო. ვნახე ღვინის სხვადასხვა სახეობები, გავეცანი მათი დამზადების ტექნოლოგიებს. გავიგე, თუ რა განსხვავება იყო ღვინის ტიპებს შორის, რამაც ძალიან დამაინტერესა. ხელმძღვანელის დახმარებით ვცადე აღმდგენელი შაქრების განსაზღვრა სხვადასხვა ტიპის ღვინოებში. ეს გახლდათ პრაქტიკის შემეცნებითი მხარე. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სასწავლო პრაქტიკის დროს დაგეგმილმა ექსკურსიამ. განსაკუთრებით დამამახსოვრდა მარანში ჩვენი ვიზიტი. ეს ყველაფერი საინფორმაციო არაჩვეულებრივი იყო. ექ მისული სტუმრისთვის სასიამოვნო გარემოა შექმნილი. დარბაზი გაფორმებული იყო ღვინოსთან ასოცირებული სხვადასხვა ელემენტებით.

ვინახულეთ ქვევრები, სადაც კახური ღვინო მზადდება, ასევე ევროპული ღვინის დამზადებისთვის საჭირო რეზერვუარები. ვნახეთ სადეგუსტაციო დარბაზი.

პირადად მე მიზიდავს ძველი, ტრადიციული ნივთები. მარანში კი ვნახე ის ნივთები, რომლებსაც ჩვენი წინაპრები უძველესი დროიდან გამოიყენებოდნენ ღვინის დამზადებაში. აქვეა გამოფენილი ღვინის სხვადასხვაგვარი სასმისები. ქალბატონმა მარინამ დავგავაგონებინა რამდენიმე ტიპის ღვინო, ასევე, მისივე დამზადებული ლიქიორი, რომლის რეცეპტაც გასაიდუმლოებულია აქვს. კმაყოფილი ვარ იმ ყურადღებით, ცოდნის გაღრმავებით და სითბოთი, რაც პრაქტიკიდან და უშუალოდ ხელმძღვანელისგან მივიღე.


### ინოზ ბერიძე, (2010 წლის პრაქტიკანტი):

— პრაქტიკა გავიარე სამეცნიერო-კვლევით ფორმა „გამაში“ 2010 წელს. ფორმა აკრედიტრებულია სასმელი და მინერალური წყლების კვლევის სფეროში, აქვე ფუნქციონირებს ნიადაგების, გაზების და მიკრობიოლოგიური კვლევის ლაბორატორიები. პრაქტიკის ხელმძღვანელი იყო ქალბატონი შუჟუნა გურჯია, რომელთანაც მუშაობა სასიამოვნო და ძალზედ საინტერესო იყო. ლაბორატორიაში მოქმედებს საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდები: ISO და ამერიკის გარემოს დაცვის მიერ მონოდეფიციური EPA-ს მეთოდები. ფორმაში არის სასურველი გარემო, რაც ქმნის ნორმალურ სამუშაო პირობებს. ფორმა აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით და მაღალკვალიფიციური სამეცნიერო პერსონალით, მათთან ურთიერთობა სასწავლო პრაქტიკის დროს იყო ძალზე სასარგებლო პროფესიული თვალსაზრისით. ჩემი დაინტერესება და მონონება დამ-



სტუდენტები „ჯორჯიან ეკო“-ში: იულია მილიუკოვა და მარიამ კობიაშვილი

სახურა ატომურ-აბსორბციომეტრმა, რომელიც შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს, არის მრავალფუნქციური, ასრულებს მრავალ ოპერაციას დამოუკიდებლად, რაც მის წინამორბედ აპარატურებში შეუძლებელი იყო და მოითხოვდა დამატებით ხელით ჩარევას ანალიზის მსვლელობისას. საინტერესო იყო, აგრეთვე, ქრომატოგრაფიული განყოფილებაში მუშაობა, სადაც უშუალოდ ჩავატარე ჰაერის ანალიზი გაზურ-ქრომატოგრაფიული მეთოდით. განვლილი პრაქტიკების შედეგად კიდევ უფრო გაღრმავდა ჩემი ინტერესი მომავალი პროფესიისადმი, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის პრაქტიკის ხელმძღვანელს და ფორმა „გამას“ პერსონალს.



სტუდენტები „კოკა კოლა ბოთლერს ჯორჯია“-ში: რომან გიგაური, სალომე ჭითანავა, გრიგოლ ქურციკიძე



შპს „ჯორჯიან ეკო“-ში: აილოლან იასინი და ჩაქარ ბეთულ ნიჰალი

## სასურსათო პროდუქტების შეფუთვა არატოქსიკური მასალით



სასურსათო პროდუქტების ბაზარზე დაფასოებული პროდუქტის ასორტიმენტის მოცულობის ზრდასთან ერთად, მკვეთრად გაიზარდა შესაფუთი მასალების გამოყენებაც. ტრადიციულ შესაფუთი მასალებთან ერთად (ქაღალდი, ხე, მუყაო) კვების მრეწველობაში სულ უფრო ხშირად გამოიყენება სხვადასხვა სახის პოლიმერული მასალა, რომელიც ზრდის პროდუქტის შენახვის ვადას, აუმჯობესებს წარმოებისა და ვაჭრობის სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს, ამცირებს ბუნებრივ დანაკარგებს. თანამედროვე შესაფუთი დანადგარების გამოყენება უზრუნველყოფს პროდუქტის შეფუთვის დიდ სიჩქარეს, ჰერმეტიზაციას და საჭიროების შემთხვევაში სტერილიზაციას, რაც განისაზღვრება შესაფუთი მასალის ტექნოლოგიური თვისებებით.

პოლიმერული მასალა შესაძლებელია იყოს: ● სინთეზური ან ნატურალური. ნატურალური პოლიმერული მასალა ხშირ შემთხვევაში მოდიფიცირდება სპეციფიკური ქიმიური მეთოდებით; ● ერთგვაროვანი ან არაერთგვაროვანი, ანუ კომბინირებული. პოლიმერულ კომპოზიციებში შედის პლასტიფიკატორები, კატილიზატორები, შემავსებლები, საღებავები, ფორმირებელი ნივთიერებები და სხვა კომპონენტები, რომლებიც პოლიმერებს ანიჭებენ განსაზღვრულ თვისებებს. ● რბილი, ნახევრად მაგარი და მაგარი. სასურსათო პროდუქტების შესაფუთი მასალა უნდა იყოს მექანიკურად მტკიცე, მაგარი ან პირიქით ელასტიური, უნდა უძლებდეს თერმულ დამუშავებას მტკიცე ნაკერის წარმოქმნით. შესაფუთი მასალების მრავალფეროვნება გამოწვეულია საკვები პროდუქტების დიდი ასორტიმენტით და ამ მასალებისადმი წაყენებული მოთხოვნების ფართო დიაპაზონით. ეს მოთხოვნები დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე, მათ შორის, პროდუქტის გვარობაზე, შენახვის დროსა და პირობებზე, შემავალ კომპონენტებზე. ● რბილი მოთხოვნები, რომლებიც წაყენდება ყველა შესაფუთი მასალას, შემდეგია: სანიტარულ-ჰიგიენური თვისებების შესაბამისი

დონე, აუცილებელი საექსპლუატაციო თვისებები, ტექნოლოგიურობა, მდგრადობა მიკროორგანიზმების მოქმედების მიმართ და ლამაზი დიზაინი. კვების მრეწველობაში გამოიყენება მხოლოდ განსაზღვრული პოლიმერული მასალები, რომლებიც არ ცვლის პროდუქტის გარეგნულ სახეს, ფერს, გამჭვირვალობას, კონსისტენციას, არ აძლევს მას სხვა გემოსა და სუნს, არ შედის რეაქციაში პროდუქტთან, არ ინვესტს პროდუქტის კვებითი ღირებულების შემცირებას და თვითონაც არ განიცდის ცვლილებას პროდუქტის მოქმედებით. მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს კვების მრეწველობაში გამოყენებული შესაფუთი პოლიმერული მასალა, განისაზღვრება შესაფუთი პროდუქტის ქიმიური ბუნებით (ცხიმინობა, მჟავიანობა, ტენიანობა, სიცხარე), ფიზიკური მდგომარეობით (სითხე, საცხისებრი კონსისტენცია, მყარი ნაწილაკები, გრანულები, ფხვნილი), მგრძობილობით ტენის, ჟანგბადის, სინათლის მიმართ. აუცილებელია იმის ცოდნაც, საჭიროებს თუ არა პროდუქტი გარემოსაგან სრულ იზოლაციას შენახვის დროს. ზოგიერთ შემთხვევაში ამ მასალებისათვის აუცილებელია აირის მკაცრად რეგულირებადი მიმოქცევა (ახალი ხილი, ნაყოფი, ბოსტნეული), გაუმჭვირვალობა. დამატები-

თი სპეციფიკური მოთხოვნები პოლიმერულ შესაფუთი მასალებს წაყენდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც წარმოებს საკვები პროდუქტების კონსერვირება ან ტექნოლოგიური დამუშავება შეფუთვის შემდეგ. ამჟამად საკვები პროდუქტების შესაფუთად განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება ცელოფანი, პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ქლორიდის ფირები. მიზანშეწონილია შესაფუთი მასალა შეირჩეს პროდუქტის ჯგუფის მიხედვით (პროდუქტის ჯგუფებად დაყოფა პირობითია): მშრალი საკვები პროდუქტები, პურ-ფუნთუშეული და საკონდიტრო ნაწარმი; ღვინო და სასმელები; ახალი ხილი და ბოსტნეული; ხორცის პროდუქტები; თევზის პროდუქტები; რძის პროდუქტები; მყარი და თხევადი ცხიმები; საკვები პროდუქტები, რომლებიც შეფუთვაში საჭიროებს ტექნოლოგიურ, თერმულ დამუშავებას და რადიაციულ დასხივებას. შესაფუთი მასალების მიმართ მზარდი მოთხოვნების შესაბამისად ქიმიკოსების მრავალწლიანი კვლევებისა და ექსპერტიზის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ნებისმიერი შესაფუთი მასალის საერთაშორისო სტანდარტის მიერ წაყენებული მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნას.

# სასურსათო პროდუქტების შეფუთვა არატოქსიკური მასალით

## პოლიმერული მასალის მასალის ჰიგიენური შეფასება

საკვები პროდუქტების შესაფუთი მასალის სანიტარულ-ჰიგიენური შეფასება ითვალისწინებენ შემდეგ მოთხოვნებს:

● შესაფუთი მასალა არ უნდა ცვლიდეს პროდუქტის ფიზიკოლოგიურ თვისებებს და ორგანოლექტიკურ მარკენებლებს — გემოს, სუნს, ფერს, კონსისტენციას და ა.შ.;

● შესაფუთი მასალა არ უნდა შეიცავდეს ტოქსიკურ ნივთიერებებს, რომლებსაც აქვს აკუმულირებისა და ორგანიზმზე სპეციფიკური მოქმედების უნარი;

● შესაფუთი მასალა არ უნდა შეიცავდეს უცხო ქიმიურ ნივთიერებებს, რომელთა მიგრაციის დონე სასურსათო პროდუქტში აღემატება სანიტარულ-ჰიგიენურ მარკენებლებს;

● შესაფუთი მასალა ან მისი კომპონენტები

არ უნდა ახდენდნენ პროდუქტში მიკროფლორის განვითარების სტიმულირებას;

● შესაფუთი მასალა არ უნდა არსებობდეს ქიმიური ან სხვა სახის ურთიერთქმედება.

საკვები პროდუქტებთან უშუალოდ კონტაქტში მყოფი პოლიმერული მასალის ჰიგიენური შეფასებისას, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზოგიერთი ქიმიური ნივთიერება, ორგანიზმში დიდი დოზით მოხვედრისას, მცირე ხნის განმავლობაში არ იწვევს მკვეთრად გამოხატულ ტოქსიკოლოგიურ ეფექტს. დიდი ხნის განმავლობაში კი ამ ნივთიერებების მცირე დოზის ტოქსიკური ეფექტი სრულად განსხვავებულია. ეს ნივთიერებები ორგანიზმში ხდებდა საჭმლის მომნელებელი სისტემის საშუალებით. ზოგიერთ შემთხვევაში ქიმიური ნივთიერების გარდაქმნა კუჭ-ნაწლავში ადამიანის ფერმენტებისა და ნაწლავების მიკროფლორის ფერმენტების მოქმედებით, მნიშვნელოვნად ზრდის მათ ტოქსიკოლოგიურ



მოქმედებას.

პოლიმერული შესაფუთი მასალა, რომელიც საკვების შესაფუთად არის განკუთვნილი, შემდეგ ჰიგიენურ ნორმებს უნდა აკმაყოფილებდეს:

● კვების მრეწველობაში გამოყენებული

ფირები უნდა მზადდებოდეს მაღალი და პირველი ხარისხის პოლიმერული მასალებიდან და არა ნარმოების ნარჩენებისაგან.

● პოლიმერული მასალების მოსამზადებლად საჭირო კომპონენტებზე უნდა გამოიყენებოდეს ის ნივთიერებები, რომლებიც დაშვებულია სანიტარული სამსახურის მიერ.

● საკვები პროდუქტების შესაფუთად და შესანახად საჭირო პოლიმერული მასალები უნდა მზადდებოდეს სპეციალურად ცალკე გამოყოფილ მონოპოლიტში.

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, თავდაპირველად ხდება პოლიმერული მასალების ორგანოლექტიკური, შემდეგ სანიტარულ-ქიმიური, ბოლოს კი ტოქსიკოლოგიური გამოკვლევა.

**ელიზა მარკაშვილი**  
ქიმიის დოქტორი,  
მაკრომოლეკულების ქიმიის  
ლაბორატორიის გამგე

# „ცოდნას ფასი არ გააჩნია, თუ იგი არ ეყრდნობა სიყვარულს“...



„ასეთი პიროვნებები ბუნებას კი არ შეუქმნია, არამედ მათ თვითონ შექმნეს თავისი თავი... ისინი გახდნენ იმად, რაც უნდოდათ ყოფილიყვნენ და დარჩნენ ამ ლტოლვის ერთგული სიცოცხლის ბოლომდე“.

შველი

\*\*\*

ვიქტორ კოკორაშვილი დაიბადა 1904 წლის 12 ნოემბერს ქ. ქუთაისში, ცნობილი პროვიზორის ოჯახში. აღსანიშნავია, რომ კოკორაშვილების საგვარეულოს (დღეისათვის ცნობილი) გენეალოგიური ხე იწყება ქაიხოსრო ქორჩიაშვილით, რომელიც მოღვაწეობდა დიპლომატიურ სარბიელზე იმერეთის მეფის სოლომონის კარზე და XVII საუკუნეში მიიღო კათოლიკობა.

ვ. კოკორაშვილის მამა — ივანე კოკორაშვილი ქალაქში გამორჩეული პიროვნება იყო. მან უმაღლესი განათლება სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო — პროფესორის სპეციალობით და ქუთაისში საკუთარი აფთიაქი ჰქონდა. სამუშაოდ, არაერთი ქართველი ინტელიგენტის მსგავსად, იგი ქვეყანაში მძვინვარე ნითელ დიქტატურას შეეწირა.

დედა — მარიამ მამულაშვილი გორში თავისი განათლებით ცნობილი კათოლიკეების ოჯახის ქალიშვილი გახლდათ. მას დამთავრებული ჰქონდა გორის გიმნაზია და მასწავლებლად მუშაობდა.

ვიქტორ კოკორაშვილს ოთხი და—ძმა ჰყავდა: მიხეილ, იოსებ, ლეონარდო და ანა. ანა და იოსებ ბავშვობის ასაკში დაიღუპნენ. ლეონარდო კოკორაშვილი ქუთაისის მთავარი არქიტექტორი გახლდათ. საუბედუროდ, მასაც მამის ხვედრი ერგო — 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა. მიხეილ კოკორაშვილი საქართველოში სახელგანთქმული ბავშვთა ქირურგი, საავადმყოფოს მთავარი ექიმი, პროფესორი იყო. იგი 1963 წელს გარდაიცვალა. არ შეგვიძლია გულისტკივლით არ აღვნიშნოთ, რომ განგებამ ბატონი ვიქტორის დედას უმძიმესი ხვედრი არგუნა — იგი ოთხი შვილის სიკვდილს მოესწრო.

ამ მცირე ექსკურსის შემდეგ, ვუბრუნდებით ბატონი ვიქტორის ცხოვრების მნიშვნელოვან თარიღებს.

ვ. კოკორაშვილმა 1922 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიო-ფარმაცევტულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1928 წელს ფარმაკოქიმიკოსის დიპლომით. სწავლის პერიოდში მისი ლექტორები იყვნენ ცნობილი მეცნიერები: პეტრე მელიქიშვილი, ივანე ბერიტაშვილი, იასონი მოსეშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი და სხვები.

1927-1928 წწ. ვიქტორ კოკორაშვილი მუშაობდა თსუ არაორგანული ქიმიის კათედრის ასისტენტად, ხოლო 1929-1930 წწ. ფიზიკური ქიმიის კათედრის ასისტენტად. პარალელურად, — 1930 წელს — იგი ხდებდა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი. იმავე წელს მას ირჩვევენ აკადემიის ქიმიო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ფიზიკური ქიმიის კათედრის ასისტენტად. სხვადასხვა დროს იგი იმუშავებდა დნეპროპეტროვსკის ქიმიო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის არაორგანული ქიმიის კათედრის დოცენტად; პარალელურად — უკრაინის ფიზიკური ქიმიის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლად.

1932 წელს ვ. კოკორაშვილი მუშაობდა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად, მოგვიანებით კი — იმავე ინსტიტუტის ასპირანტების ხელმძღვანელად არაორგანულ და ფიზიკურ ქიმიამ. იმავე წელს ვ. კოკორაშვილი გახდა ქიმიო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ფიზიკური ქიმიის კათედრის დოცენტი, გამოყენებითი ქიმიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი და

ლენინგრადის ქიმიური ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი. მალევე 1933 წელს მას ენიჭება თსუ-ის დოცენტის ნიშანი; შეთავსებით მუშაობს გამოყენებითი ქიმიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად.

1934-1935 წლებში დოქ. ვ. კოკორაშვილი მუშაობს თსუ-ის ასპირანტების ხელმძღვანელად ფიზიკურ ქიმიამ და მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ქიმიური ინსტიტუტის სწავლულ სპეციალისტად. 1935 წელს ირჩევენ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური ქიმიის კათედრის დოცენტად და იმავე წელს თსუ-ის ფიზიკური ქიმიის კათედრის გამგედ, სადაც იგი მოღვაწეობდა თითქმის 40 წელი, 1973 წლამდე.

1943 წელს ვ. კოკორაშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „წყალბადისა და ბრომის ნარეგების წვის მოვლენის შესწავლა“. მას 1944 წ. მიენიჭა პროფესორის ნიშანი — ამ თანამდებობაზე იგი გარდაცვალებამდე მუშაობდა.

ბატონი ვიქტორის ხელმძღვანელობით ასპირანტურის კურსი გაიარეს პროფესორებმა: ზურაბ ძონდიძემ, ქსენია ლაბაძემ, თეა ცეცხლაძემ, რუსუდან მარლითმა, ლილი სეფიაშვილმა, მორის მუსხრამიძემ, დიმიტრი ქიტიაშვილმა, შოთა ბოჭორიშვილმა, გურამ თევდორაძემ, ჟორა კიკვაძემ, ალექსანდრე ხუსკივაძემ, ალექსი ტივაძემ, ვალერიან ბრეგვაძემ.

ბატონი ვიქტორი წლების განმავლობაში იყო თსუ-ის ქიმიის ფაკულტეტის ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. 1961 წელს მას მიენიჭა საქართველოს სსრ. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ნიშანი. ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისა და დაბადებიდან 75 წლისთავთან დაკავშირებით 1980 წელს დაჯილდოებული იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით.

1986 წლის 17 აპრილს, ხანმოკლე ავადმყოფობის შედეგად, პროფ. ვ. კოკორაშვილი გარდაიცვალა.

პროფესორ ვ. კოკორაშვილს თითქმის მთელი მისი მოღვაწეობის მანძილზე მხარში ედგა მეუღლე — ანასტასია ზუბალაშვილი — ცნობილი ქართველი მრეწველისა და დიდ ქველმოქმედთა ოჯახის ღირსი წევრი ნარმოზდგენელი. ბატონი ვიქტორის ქალიშვილი — თინათინ კოკორაშვილი ქიმიის დოქტორი, ფიზიკური ქიმიის კათედრის დოცენტი წლების მანძილზე, კეთილშობილებითა და სათნოებით სავსე ინტელიგენტი ქალბატონია. გამორჩეულ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს თანამშრომლებსა და სტუდენტებში. თავისი მოღვაწეობით ღირსეულად აგრძელებს სახელოვანი მამის ტრადიციებს.

## სამეცნიერო მოღვაწეობა

პროფესორ ვ. კოკორაშვილის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ძირითადად ქიმიური კინეტიკის დარგში მიმდინარეობდა. მისი გამოკვლევების ერთი ციკლი მიზნად ისახავდა ფოტოქიმიურ რეაქციათა კინეტიკის შესწავლას. კვლევები ეყრდნობოდა შემდეგ დებულებას: რადგან აქტიური ცენტრების რაოდენობა სინათლის ინტენსიურობის პროპორციულია, რეაქციის სიჩქარეც აქტიური ცენტრების კონცენტრაციის პროპორციული უნდა იყოს. მაგრამ სინათლის დიდი ინტენსიურობის დროს, როცა შესაძლებელია სარეაქ-

პროფესორი ვიქტორ კოკორაშვილი იმ გამორჩეულ სწავლულთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული მეცნიერების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ვიქტორ კოკორაშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა მართლაც ძალზე ღირებულია. მან ღირსეულად გააგრძელა თავისი დიდი მასწავლებლის, ნობელის პრემიის ლაურეატის აკადემიკოს ნიკოლაი სემიონოვის სამეცნიერო გზა და საქართველოში ქიმიური აზროვნება ახალ მწვერვალზე აიყვანა. თქმულის ბუნებრივად გამოდგება მის მიერ ჩამოყალიბებული ალის ფრონტის არამდგრადობის თეორია.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბატონი ვიქტორის პედაგოგიური მოღვაწეობა. მისი, როგორც ლექტორის, ქმედებას ნითელი ზოლივით გასდევდა მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმი და დახვეწილი ორატორული ხელოვნება. ბატონი ვიქტორის საოცარი ლექციების სული მტკიცეობდა მაღალ ინტელექტზე და მის ერუდიციანზე, განსაკუთრებით ქიმიის დარგში. მისი საყვარელი მწერლის — ანატოლ ფრანსისის სიტყვებით რომ ვთქვათ: „სწავლების ხელოვნება წარმოადგენს ხელოვნებას ახალგაზრდის სულში ცნობის-მოყვარეობის გაღვივებისა და შემდგომი მისი დაკმაყოფილებისა“.

სტუდენტებთან ურთიერთობისას ბატონი ვიქტორი მათთვის მხოლოდ მეცნიერული ცოდნის მიწოდებას როდი სჯერდებოდა. იგი არანაკლებ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდის მორალურ-ზნეობრივ, მოქალაქეობრივ ჩამოყალიბებას. ალბათ ამიტომ უყვარდა მას სინკლერ ლუისის სიტყვების ხშირად გამოყენება: „ცოდნას ფასი არ გააჩნია, თუ იგი არ ეყრდნობა სიყვარულს“.

სწორედ მომავალი თაობების კარგ სპეციალისტებად აღზრდისათვის ზრუნვა იქცა იმ ფაქტორად, რომლის გავლენითაც ბატონმა ვიქტორმა ჩვენს მოსწავლეებსა და სტუდენტებს არაერთი სახელმძღვანელო დაუტოვა. ამ საშვილიშვილო საქმეში პროფესორ ვიქტორ კოკორაშვილს ბადალი არ ჰყოლია — მისი ავტორობით გამოცემული სხვადასხვა დანიშნულების ნიგნების საერთო მოცულობა 9000 გვერდს აღემატება.

რაფინირებული ინტელიგენტი, ენციკლოპედიური ცოდნის სწავლული, ჭეშმარიტი პედაგოგი, დიდი კულტურტრევერი — ასეთი ახსოვთ ბატონი ვიქტორის მის კოლეგებსა და აღზრდილებს.

ციო ჯაჭვების ურთიერთქმედება, მოსალოდნელია ამ მარტივი თანაფარდობის დარღვევა. წყალბადისა და ქლორის ფოტოქიმიური რეაქციის მაგალითზე ვ. კოკორაშვილმა დაადგინა, რომ სინათლის მაღალი ინტენსიურობის დროს რეაქციის სიჩქარე ანომალურად იზრდება და ამით დაამტკიცა სარეაქციო ჯაჭვების ურთიერთქმედება. ეს მოვლენა, მიუხედავად სხვა ობიექტებზე, შემდგომში შეისწავლეს: ნ. სემიონოვმა, ლ. ვორონოვმა, ა. ნალბანდიანმა და სხვა გამოჩენილმა ქიმიკოსებმა.


ვ. კოკორაშვილმა პროფესორის ციკლი მიუძღვნა გოგირდის ანჰიდრიდის ფოტოქიმიას. მან შეისწავლა გოგირდის ანჰიდრიდის ფოტოქიმიური წარმოქმნის რეაქცია, გოგირდის ანჰიდრიდის ოპტიკური დაშლა და დაადგინა რეაქციის მექანიზმი, რომლის თანახმად აქტიური ცენტრის წარმოადგენს გოგირდის მონოქსიდი. გოგირდოვანი ანჰიდრიდის ქვანტური გამოსავლიანობის შესწავლამ დაადასტურა მის მიერ დადგენილი მექანიზმი.

წყალბადის და ბრომის მაგალითზე, ვ. კოკორაშვილმა დაწვრილებით შეისწავლა აალების მოვლენები და ალის ფრონტის გავრცელების სიჩქარე. ამ გამოკვლევების ძირითადი მიზანი იყო აალებისა და ალის გავრცელების არსებული თეორიების ექსპერიმენტული დასაბუთება. ამ მიზნით გამოკვლეული იქნა წყალბადისა და ბრომის ნარეგების თვითაალების ზღვრები, ინერტული და აქტიური მინარეგების გავლენა ზღვრების მდებარეობაზე, ალის გავრცელების სიჩქარე და სხვა.

პროფესორ ვ. კოკორაშვილის ფუნდამენტურმა გამოკვლევებმა ნათელჰყო, რომ — აალების ზღვრების დამოკიდებულება გაზების ნარეგის შემადგენლობაზე, ტემპერატურაზე, მინარეგებზე, ალის ხასიათი ზღვრებზე, ალის გავრცელების სიჩქარე და აალების ზღვრის აბსოლუტური მნიშვნელობა სრულ თანხმობაშია ნ. სემიონოვის თეორიასთან. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ვ. კოკორაშვილის გამოკვლევებს თვით აკად. ნ. სემიონოვი მიიჩნევდა მისი თეორიის პირველ ექსპერიმენტულ დადასტურებად. ამასთანავე, ვ. კოკორაშვილმა დაამტკიცა, რომ არაგანმტოვებული ჯაჭვური რეაქცია სითხეში აალებას იძლევა.

პროფესორ ვ. კოკორაშვილის მეტად მრავალმხრივი და ორიგინალური სამეცნიერო კვლევებიდან განსაკუთრებით ღირებულია ის, რომ მან აღმოაჩინა ალის გავრცელების ახალი ფორმა — ნაკვალად ალის ერთიანი ფრონტისა, მიიღება რამდენიმე სფერული ფრონტი. ალის გავრცელების ასეთი არატრადიციული ფორმა აიხსნება წყალბადის თერმოდინამიკის მოვლენით. ეს მომენტი ემსახურება ალის გავრცელების თეორიის შემდგომ განვითარებას და ამ კონცეფციების შეუქმნელად ალის გავრცელება არაერთი გაუგებარი თუ ბუნებრივი საკითხის ახსნა. შემდგომში ეს კვლევები საფუძვლად დაედო ვ. კოკორაშვილის მიერ ჩამოყალიბებულ ალის ფრონტის არამდგრადობის ზოგად თეორიას. აღსანიშნავია რომ, ბატონი ვიქტორი, ქიმიური კინეტიკის დარგში, ერთ-ერთი ყველაზე უფრო „ციტირებადი“ მეცნიერი იყო.

**ზურაბ ქონიანი**  
ქიმიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი  
**მისიამ გვირგვინი**  
ქიმიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი



International Year of CHEMISTRY 2011

# ქიმიის საერთაშორისო

## ალფრედ ნობელი — „დინამიტის მეფე“

შვედი ინჟინერ-ქიმიკოსი, დინამიტის გამომგონებელი, შემდგომში მისივე სახელობის სამეცნიერო პრემიის დამაარსებელი ალფრედ ნობელი მეჩვიდმეტე საუკუნეში მოღვაწე ცნობილი მეცნიერის ოლოს რადბეკის შთამომავალი იყო.

ალფრედ ნობელი დაიბადა სტოკჰოლმში 1833 წელს. 1843-1850 წლებში მათი ოჯახი საცხოვრებლად სანკტ-პეტერბურგში გადავიდა. ალფრედის მამა, იმანუილ ნობელი, ერთ-ერთ ნავსადგურში წყალქვეშა ნაღმების დამზადებაზე მუშაობდა. ალფრედმა საშუალო განათებით დაიწყო სწავლა. ალფრედმა საშუალო განათებით დაიწყო სწავლა. ალფრედმა საშუალო განათებით დაიწყო სწავლა.

რუსეთში დაბრუნებისთანავე ალფრედ ნობელმა ჩაიბარა საოჯახო ფაბრიკა, რომელიც ასრულებდა სამხედრო შეკვეთებს რუსეთის არმიისათვის. 1859 წელს კი მან ეს საქმე უფროს ძმას გადააბარა და თვითონ შვედეთში დაბრუნდა. ალფრედ ნობელმა გადამწყვიტა ფეთქებადი ნივთიერებების წარმოების შესწავლა. მან მამისგან მემკვიდრეობით მიღებული პატარა ფაბრიკა ნიტროგლიცერინის წარმოებულ მსხვილ საწარმოდ გადააკეთა. ქარხანამ რამდენჯერმე აფეთქება განიცადა, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ნიტროგლიცერინის აფეთქებისათვის საკმარისი იყო ძლიერი ბიძგი ან ტემპერატურის ოდნავი მომატებაც კი. ერთ-ერთი ასეთი აფეთქების დროს დაიღუპა მისი ძმა და საუკეთესო მეგობარი. ამ ფაქტმა საგრძნობლად შეარყია ნობელის მამის ჯანმრთელობა და იგი მალე გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ალფრედ ნობელი ამ ფაქტს მძიმედ განიცდიდა, მას არ შეუწყვეტია თავისი საქმიანობა და ამასთანავე განუწყვეტლივ ფიქრობდა ისეთი მეთოდის შემუშავებაზე, რომელიც უბედური შემთხვევის შესაძლებლობას მინიმუმამდე შეამცირებდა. ამ მიზნით, მან ქარხანა შუა ტბაში ბორანზე გადაიტანა.

დინამიტის გამოგონება. დინამიტის გამო-

გონებას უკავშირებენ ერთ საინტერესო შემთხვევითობას: წარმოებული ნიტროგლიცერინის გადაზიდვა დანიშნულების ადგილამდე ლითონის ჭურჭლით ხდებოდა. უსაფრთხოების მიზნით ამ ჭურჭელს ე.წ. ინფუზორული მინით სავსე ხის ყუთებში დგამდნენ. ერთხელ ერთ-ერთი ასეთი ჭურჭელი მჭიდროდ თავდახურული არ აღმოჩნდა. შიგთავსი მინაზე დაიქცა, საბედნიეროდ ამას აფეთქება არ მოჰყოლია. შემდგომ ნიტროგლიცერინით გაჟღერებული ინფუზორული მინის შესწავლისას, ნობელმა აღმოაჩინა, რომ ეს ნარევი აფეთქების სიძლიერით სუფთა ნიტროგლიცერინის არ ჩამოუვარდებოდა, ხოლო მისი ტრანსპორტირება ბევრად უფრო უსიფათო იყო. თავის აღმოჩენას მეცნიერმა დინამიტი უწოდა. ალფრედ ნობელი ითვლება აგრეთვე უკვალოდ დენთის — ბალისტიკისა და კორდონის გამოგონებლად.

1888 წელს ერთ-ერთ ფრანგულ გაზეთში შეცდომით გამოქვეყნდა ცნობა ნობელის გარდაცვალების შესახებ, სადაც იგი მოიხსენიეს, როგორც „ფეთქებადი სიკვდილით მოვაჭრე“, „დინამიტის მეფე“ და ა.შ. ამ ფაქტმა მასზე დიდი გავლენა იქონია და იმისათვის, რომ კაცობრიობის მესხიერებაში არ დარჩენილიყო მართლაც „მსოფლიო მნიშვნელობის ბოროტმოქმედად“, სიცოცხლის ბოლო წლებში მან დაიწყო ზრუნვა მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის, ის ყოველწლიურად აფინანსებდა მშვიდობიან საქმეებზე ჩატარებულ ყრილობებს, 1989 წელს მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს მშვიდობის კონგრესში.

1895 წელს ნობელმა პარიზში ხელი მოაწერა ანდერძს, რომლის თანახმადაც მისი მემკვიდრეობის დიდი ნაწილი უნდა მოხმარებულიყო მისივე სახელობის პრემიის დაარსებას; 31 მლნ შვედურ მარკა ნობელმა გამოყო საერთაშორისო პრემიის ფონდისათვის, რომელიც დაწესდა ფიზიკის, ქიმიის, ფიზიოლოგიის და მედიცინის დარგში შესრულებული სამუშაოებისათვის და აგრეთვე მშვიდობის განმტკიცების საქმეში შეტანილი წვლილისათვის.

ნობელის პრემია არ გაიცემა მათემატიკის დარგში. გადმოცემის მიხედვით, ამის მიზეზია ის, რომ ქალმა რომელსაც იგი ეტროვდა, მას მათემატიკოსი, მაგნუს გუსტავ მითაგ-ლეფლერი ამჯობინა. არავინ უწყის ამ ფაქტის ჭეშ-



მართება, თუმცა ის კი ცნობილია, რომ ნობელი არასდროს ყოფილა დაქორწინებული.

ნობელი გარდაიცვალა 1896 წლის 10 დეკემბერს სტინკარდიული შეტევით. იგი დაკრძალულია სტოკჰოლმში.

შვედეთის ბანკის ინიციატივით 1969 წლიდან გაიცემა ნობელის სოცენისადმი მიძღვნილი პრემია ეკონომიკაში, რომელსაც არაოფიციალურად უწოდებენ „ნობელის პრემიას ეკონომიკაში“.

ნობელის სახელს ატარებს მრავალი სამეცნიერო ინსტიტუტი. ნობელის სახელის უკვდავსაყოფად პერიოდული სისტემის 102-ე ელემენტს ეწოდა ნობელიუმი.

### ნობელის პრემია

ნობელის პრემია ქიმიის დარგში გაიცემა ყოველწლიურად 1901 წლიდან და შეადგენს 10 მილიონ შვედურ კრონს, რაც დაახლოებით 1,1 მლნ ევროს შეესაბამება. თუთი ერთ წელს პრემიას რამდენიმე ქიმიკოსი მიიღებს, პრემია თანატოლ ნაწილებად გაიყოფა ლაურეატებს შორის.

ლაურეატების შერჩევა შვედეთის სამეფოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ ხდება. 1895 წლის 27 ნოემბრით დათარიღებულ ანდერძში, რომელიც ჯილდოს მიწვევის წესს განსაზღვრავდა, პრემიის დამენებელი, ალფრედ ნობელი, აღნიშნავდა, რომ ნობელის პრემია ქიმიის დარგში უნდა მიენიჭოს მას, „ვისაც ეკუთვნის ყველაზე მნიშვნელოვანი ქიმიური აღმოჩენა ან

გაუმჯობესება“. ყოველ წელს ნობელის პრემია ლაურეატს ალფრედ ნობელის გარდაცვალების დღეს, 10 დეკემბერს, გადაეცემა შვედეთის მეფის მიერ.

ჯილდოს დაწესებიდან დღემდე სულ 153 ქიმიკოსმა მიიღო ნობელის პრემია. მათგან 150 მამაკაცია (98%) და სამი ქალი (2%).

2010 წელს შვედეთის მეცნიერებათა სამეფო აკადემიამ „ყველაზე მნიშვნელოვანი ქიმიური აღმოჩენა“ მიიწინა სამი მეცნიერის, რიჩარდ ფ. ჰეკის, ეი-ჩი ნევიშის და აკირა სუზუკის, ნაშრომები ორგანულ სინთეზში. მათ შემუშავეს პალადიუმით კატალიზირებადი რეაქციები, რომლის დროსაც ხდება ჯვარედინი შეუღლება.

ნახშირბად-ნახშირბად ბმის ფორმირების შესწავლას აკადემიურ კვლევებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რადგან ეს უკანასკნელი აუცილებელი ნინაპირობაა დედამიწაზე სიცოცხლის არსებობისათვის. ლაბორატორიული ექსპერიმენტების დროს ატომები მარტივი ორგანული ნივთიერებების ჩონჩხს კი ქმნიდნენ, მაგრამ რთულ სტრუქტურებად მათი ჩამოყალიბება არ ხერხდებოდა. მეცნიერებმა ნახშირბადოვანი ატომების ერთგვარი ინერტულობის პრობლემა გადაჭრეს. მარტივად რომ ვთქვათ, პალადიუმის „დახმარებით“ მათ ნახშირბადის ატომები გრძელ ჯაჭვებად ჩამოაყალიბეს, ხოლო ცალკეულ მსხვილმა ორგანულმა მოლეკულებმა კი ერთმანეთთან დაიწყეს რეაგირება. ასეთი სინთეზები კი ადრე მხოლოდ ბუნებაში იყო შესაძლებელი. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ დროს, თანამედროვედუქტი მცირე რაოდენობით წარმოიქმნება. შედეგად, სინთეზი უფრო ხარისხიანია, მისი მასობრივად გამოყენება იოლია და იაფი.

ეს აღმოჩენა მნიშვნელოვანია არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც. ამ რეაქციების წყალობით შესაძლებელი ახალი მედიკამენტების, ადრე წარმოუდგენელი თვისებების მქონე პლასტიკური მასალების, რთული ელექტრონული მოწყობილობების შექმნა.

ნიმუ ნიკოლაიშვილი, ქიმიის დოქტორი ულანა კახაძე, ქიმიის დოქტორი

## დიდი ქიმიკოსები

### ნუთუ უკვე არსებობდა ქიმია იმ შორეულ დროში?



არისტოტელე (დაახლ. 384-322 წ. ჩვ. წ-მდე)

დიდი ბერძენის პორტრეტის ქვეშ მინერალი თარიღი გვამცნობს, რომ არისტოტელე ორი ათას წელწინააღმდეგე მეტი ხნის წინათ

ცხოვრობდა. ნუთუ უკვე არსებობდა ქიმია იმ შორეულ დროში? და რატომ მაინც მაინც არისტოტელე დავსახელებთ პირველად ჩვენს დიდ ქიმიკოსებს?

რა თქმა უნდა, 2300 წლის წინათ ცალკე მეცნიერება — ქიმია, როგორც ახლა, არ არსებობდა, მაგრამ ადამიანებს იმუშავებდაც აინტერესებდათ მადნის გამოდნობა, ტყავის დამუშავება თუ ღვინის და ძმრის დამზადება, მაშინაც აფიქრებდნენ, რისგან იყო შექმნილი ადამიანი, მინა, სამყარო.

იმ შორეულ დროში მცხოვრები არისტოტელე არ იყო ქიმიკოსი ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით. მაგრამ მეცნიერება, რომელსაც ის ქადაგებდა, მრავალი საუკუნის განმავლობაში ედო საფუძვლად ალქიმიას.

არისტოტელეს არ შეუქმნია ქიმიური ლაბორატორია, არ ჩაუტარებია ცდები. იგი ფილოსოფოსი იყო და როგორც იმ დროის ყველა მეცნიერი, უპირველეს ყოვლისა, ლოგიკური მსჯელობის შედეგად გამოტანილ დასკვნებს ეყრდნობოდა.

არისტოტელეს ყველაფერი აინტერესებდა — ეთიკა, ასტრონომია, პოლიტიკა, პოეზია, ბუნება.

ამ მეცნიერმა თავისი სიბრძნისა და მჭერმეტყველების წყალობით მალე საყოველთაო აღიარება მოიპოვა. მის გარშემო შემოკრებილი დიდძალი მსმენელი ინერდა მასწავ-

ლებლის სიტყვებს. დროთა განმავლობაში ამ ჩანაწერებიდან შეადგინეს ნიგნები, რომლებშიც ბევრი მოსაზრება ჭეშმარიტად წინასწარმეტყველური გამოდგა.

თუ ქიმიის შესახებ ვილაპარაკებთ, მაშინ არისტოტელე — მამამთავარია მეცნიერებისა ოთხი ელემენტის (სტიქიის) შესახებ.

მისი აზრით ყველაფერი, რაც ჩვენს გარშემოა, ერთი და იგივე მატერიისაგანაა აგებული. მაგალითად, ქვა და ლითონი იმტომ განსხვავდება გარეგნულად ერთმანეთისაგან, რომ ისინი სხვადასხვა რაოდენობით შეიცავენ სითბოს, სიცივეს, სიმშრალეს და ტენს. გარკვეული რაოდენობით მიმატებული ან მოკლებული, სწორედ ეს ოთხი თვისობაა წარმოქმნის ჩვენს ირგვლივ ბუნებაში არსებულ ყველა სხეულს. ამრიგად არისტოტელე თვლიდა, რომ:

სითბო + სიმშრალე = ცეცხლი

სითბო + ტენი = ჰაერი

სიცივე + სიმშრალე = მინა

სიცივე + ტენი = წყალი

არისტოტელეს მიხედვით ცალკეული ელემენტების მიმატებით ან გამოკლებით შეიძლება ერთი სხეული მეორე სხეულად

გარდაიქმნას. მაშასადამე, თუ სიცივისა და ტენისგან შედგენილ წყალს გაათბობთ, იგი ჰაერად გარდაიქმნება, რადგანაც ჰაერი სითბოსა და ტენს შეიცავს.

არისტოტელეს მიაჩნდა, რომ წყალს ლითონებიც შეიცავენ — საკმარისია მათი გათბობა და ისინიც დენადობის უნარს იძენენ. მისი სწავლების მიხედვით მინის სიღრმეში არსებული ყველა მინერალი ოთხ სტიქიისაგან წარმოიქმნება და ამის შემდეგ დიდხანს მნიფდება.

არისტოტელეს მოძღვრებას ერთი სხეული მეორე სხეულად გარდაქმნის შესახებ მოგვიანებით მხარი დაუჭირეს ალქიმეოსებმა, რომლებიც მრავალი საუკუნის განმავლობაში ამაოდ ეძებდნენ იაფფასიანი ლითონების ძვირფას ოქროდ გადაქცევის ხერხებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ არისტოტელეს მოძღვრებაში მცდარი იყო, იგი ქიმიკოსთა შორის პირველი დავსახელებული, რადგანაც მის მიერ ნაშრომებული იდეა მრავალი საუკუნის განმავლობაში გზის მანათობელი იყო ალქიმეოსების მთელი რიგი თაობებისთვის.

რედაქციის წევრები:

ნინო ქოქიაშვილი, მანანა კეკელიძე, მაია თათარიშვილი, მაია ნუცუბიძე

მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. 3

(თსუ-ის მე-2 კორპუსი)

5 93 24 52 12



# „ქართულ საქართველოზე“ მეოცნება მეცნიერი

გრივერ ფარულავა ის სახელი და გვარია, რომლის ხსენებაც მისიერად იწვევს რამდენიმე განცდის ერთად დაუფლებას. იგი არის აკადემიური ცოდნის, სიდიდის, კონსტრუქციული პატიოსნებისა და ასეთივე ცხოვრების წესის მატარებელი პიროვნება, რომელსაც ძალიან ხმაბალა შეიძლება ვუწოდოთ უნივერსიტეტის სინდისი.

იგი უკვე ათეულწლიანი წელია, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს ქართული ფილოლოგიის საგანსწავლო დაგეგმვას და ამას აკეთებს ყოველივე ეროვნული საფუძვლის, სიფრთხილის გრძობით. ამიტომაცაა, რომ მის მოღვაწეობას არ უწოდებენ მხოლოდ მეცნიერებას და ლექტორის შრომას. იგი ჭეშმარიტი მოძღვარია და იცავს იმას, რასაც ქართული კულტურა, თვითმყოფადობა, ცნობიერება და სიტყვა ჰქვია.

ჩვენ შევეცადეთ მკაცრი, მომთხროვი, ზემოაღიწერილი ლირიკული მქონე პიროვნება — გრივერ ფარულავა საკუთარ ფიქრებთან მარტო დაგვეტოვებინა. მასთან ინტერვიუ დაგანახებთ, რომ ქართული მწერლობის სათავეებთან მოფხვრის მონაგარი ბუნება ისეთივე სუფთაა, როგორც მისი ბავშვობის მოგონებებში ჩამარხული სოფლის თავანკარა ნაკადული.

— ბატონო გრივერ, როგორც ამბობენ, „ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“ და ისეთები ვართ, როგორც ჩვენი ბავშვობა იყო... თქვენ საიდან დაიწყეთ ცხოვრება, როდის დაიწყო თქვენში პიროვნების ჩამოყალიბება?


— ჩვენ ყველანი კი მოვდივართ ჩვენი ბავშვობიდან, მაგრამ ვი, რომ არა ვართ ისეთი, როგორც ვიყავით ბავშვობაში. ეს არ არის ჭაღარა კაცის პრიმიტიული ბუზღუნა... ტრივიალური მინარსი ნუ გაიგებთ ნათქვამს. ჩემი ბავშვობა (ისევე, როგორც ძალიან ბევრისა) ჩემი სიცოცხლის უბედნიერესი წამი იყო — დიდი სინათლით, სინოფობიით, სილამაზით გაჩაჩხაჩხებული. მაგრამ ამ სინათლეს ბავშვისათვის ძნელად შესაცნობი მინარსის შავი ღრუბლები გადახაზავდნენ („ხალხის მტრების“ შვილად, შვილიშვილად და დის-შვილად ვითვლებოდი). ბავშვური სილალის ძალით ისინი მალე ფერმკრთალდებოდნენ და თითქოს გვაგინებდნენ. რომ დაეკაცდით, მერეა შევამჩნიეთ ნაჭრილობა კვადი. პოეტი ამბობს: „რასაც კარგავს ხსოვნა, ღრმად ინახავს ჩვენი გული“, მაგრამ მაინც, ბავშვობის დროს მზე ისეთი ცხოველყოფილი იყო, რომ იგი გზას დღესაც მინათებს. თუმცა ოფიციალური იდეოლოგიური კლიმატი მძიმე იყო, მამაპაპური ტრადიციები მაინც რიგთანაა შეჩვენებული სოფლის (გურიის ქიშკრად ნოდებულ საჯავახოს); მეზობლობისა და თანადგომის (ხადი), ლხინისა და ჭირის რიტუალების ერთგულება შენახულიყო; მინასთან გლეხური ჭიდილი და შრომა, ოჯახიშვილობა და წიგნიერება ფასობდა. ცოტა რომ მოვიზარდეთ, ბარვა-თხზობაც ვეხმარებოდით ოჯახს, როინის ატეხილი ჭაღებში და მთა-გორებზე ოთხფეხს ვმწყემსავდით; მდინარეში ცურვა და თევზაობაც ბევრს არ უშლიდა ხელს, რათა კარგად ესწავლა.

სიმპათიისა და ანტიპათიის მაშინდელი გაგება და მინარსი თითქმის შემომრჩა დღესაც. ხოლო ახლა თუ ისეთი სიხარული მეცხადება, რომ ვაცნობიერებ სად ვარ, მხოლოდ იმ გეოგრაფიულ სივრცეში ვიმყოფები, სადაც ბავშვობა გაატარე და არსად სხვაგან...

პიროვნული შეგენის გაცნობა, მგონი, 18-19 წლის ასაკიდან მომდევნო. ერთი ბრძენი გემოდ-ღვრავს: პიროვნება არის ადამიანის დაუყვანლობა ბუნებაზე და არა რაღაც დაუყვანელი (იგულისხმება მინიერ, ბუნებრივ სურვილებზე დაუყვანლობა).

— ქართული ფილოლოგია ის მეცნიერებაა, რომელსაც ხშირად ირჩევენ მხოლოდ იმიტომ, რომ ზუსტი მეცნიერებები არ აინტერესებდათ. თქვენ რატომ აირჩიეთ ეს პროფესია? როდის მიიღეთ გადაწყვეტილება, რომ ფილოლოგი ყოფილიყო?

— ზუსტ მეცნიერებათაგან ზოგიერთი (ფიზიკა, ბიოლოგია, გეოგრაფია) კი მაინტერესებდა, მაგრამ ლიტერატურა და პოეზია მხოლოდ და. უნდა „გამოვტყდე“, რომ ლექსებსაც ვწერდი და ადრედავნივ გადავწყვიტე ფილოლოგი გავმხდარიყავი.



„პროფილი“  
ბრივირ ფარულავა

— უნივერსიტეტი და თქვენ... რა დაგვადოთ უნივერსიტეტში, ვინ იყვნენ თქვენი მეგობრები და რა გახსოვთ სტუდენტობის წლებიდან?

— უნივერსიტეტში დამხვდა თანატოლების ორმოცდაათკაციანი „კრებული“, რომელთა უმეტესობა კარგად იყო განსწავლული, სულიერად და ზნეობრივად ჯანსაღი, არჩეული პროფესიით და ეროვნული ფასეულობებით გატაცებული (ჰუმანიტარული და ეროვნული ინტერესებით შთაგონებული ოჯახების აბსოლუტური უმრავლესობა თავიანთ შვილებს უნივერსიტეტის ფილოლოგიის ან ისტორიის ფაკულტეტებზე აგზავნიდა). უნივერსიტეტში ყველას ერთი საერთო ჩრდილი მოგვყვა ჩვენდაუწყებლად — ქრისტიანული მსოფლგაგების სიეჩაფა.

ჩემი მეგობრები იყვნენ: რევაზ სირაძე, ლაურა გრიგოლაშვილი, თეიმურაზ მალაფერიძე, ფიქრია მაკალათია, რეზო ჭიჭიანი, ემზარ კვიციანი, პავლე ჩარკვიანი, აკაკი ბრეგაძე, ზაად ჟვანია, გივი შეყვიანი, ზურაბ ცხევიანი, ანზორ ჯუღელი, თენგიზ ჩხაიძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, ელიზბარ ჯაველიძე, მეორე კურსზე შემოვიერთდნენ პოლიტიკური პატიმარიდან დაბრუნებული — ოტია პაჭკორია და გივი მალარია.

ეს იყო თანამაზრეთა სიმპათიური კრებული, რომელიც კარგად „დააპურა“ უნივერსიტეტმა, მაგრამ ჩვენ თურმე ძალდაუტანებლად, გულმართლად ვზარდეთ ერთმანეთი იმგვარი საკვებით, რასაც ეროვნული კულტურა, ოჯახიშვილობა და მეგობრობა იძლევა და რაც არც ერთი სპეცკურსით არ შეითვისება. ამიტომ მოხდა, რომ შემთხვევამ კი შეგვყარა, მაგრამ სასწავლებლის დამთავრების შემთხვევამ ვერ გაგვყარა.

— უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ყველაზე მეტად ვისი ლექციები გხიბლავდათ, რით იყო ეს ლექციები განსაკუთრებული და

რა მეთოდი გამოიყენებდით თქვენს პედაგოგიურ მოღვაწეობაში?

— უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებელთა სანატრელი პლენად დაგვხვდა: კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქოვავა, ალექსანდრე ბარამიძე, გრიგოლ კიკნაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ვარლამ თოფურია, გიორგი ახვლედიანი, ივანე გიგინეიშვილი, ჯუმბერ ჭუმბურიძე, ლევან მენაბდე, ფარნაოზ ერთელიშვილი, ნოდარ ჩხეიძე... მათი ლექციები განსაკუთრებული იყო არა მხოლოდ აკადემიური სტილით და მეცნიერულ-ინტელექტუალური სიღრმით, არამედ, ამავე ადამიანების ზნეობრივი სიჯანსაღით, ცხოვრების წესით, ყველა მეცნიერებას აღმატებული ფასეულობებით — სამშობლოსა და ადამიანების სიყვარულით. სწორედ ეს „მეთოდი“ დამომყვა მათგან, რაც ყოველთვის მხიბლავდა.

— რატომ გადაწყვიტეთ მეცნიერებაში მოღვაწეობა... რამ ან ვინ განაპირობა თქვენი არჩევანი?

— ჩემი მეცნიერების გზაზე შედგომა ამ პედაგოგების ღვაწლის მიმზიდველობამ, ქართულ ენაში დაუნჯებული სულიერი ენერჯის ძალმოსილებამ, გრიგოლ ხანძთელისა და ათონელევის, რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილიასა და აკაკის, ვაჟასა და გალაკტიონის დიდი მემკვიდრეობის სიღრმეში შეღწევის ხიბლმა განაპირობა.

— თქვენი ფართო სამეცნიერო მოღვაწეობიდან რომელ არეალს გამოკვეთდით, რომელ ნაშრომს მისცემდით უპირატესობას და რატომ?

— ჩემი მეცნიერული საქმიანობის არეალია ქართული მწერლობის ისტორია და პოეტიკა, ადამიანის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში, ბიბლია და ქართული კულტურა, ქართული პავოგრაფია. ჩემი ნაწერებიდან გამოვარჩევ სამს: „ზეცისა კაცი და ქვეყნისა ანგელოზი“ (გრიგოლ ხანძთელი); „უნივერსუმის მთლიანობისა და სილამაზის სადღეებელი“ (ავთანდილის გალობა შვიდთა მნათობთაში); „პოეტი — მხედარი — ზეარაკი“ (გრიგოლ მეგრელიძე). მათ გამოვარჩევ იმით, რომ ნაკლებია — თუ რაგვარი ძალისხმევით ხდება ის, რომ სამივეგან „პაეროვნულ იფინება ზემინიერი ქართულ მიწაზე“ (ვესესტები გრიგოლ რობაქიძეს).

— ყველა თქვენი ყოფილი სტუდენტი განსაკუთრებით აღნიშნავს თქვენს ლექციებს და იხსენებს, რომ უნივერსიტეტიდან ყველაზე მეტი რამ (ერთი-ორ სხვა ლექტორთან ერთად) თქვენს ლექციებთან და თქვენთან ურთიერთობიდან წაიღეს. როგორ ფიქრობთ, რა იყო ის ხიბლი, რითაც სტუდენტს ასე ამახსოვრებდა თქვენი პიროვნება?

— უხერხულია და ძნელია ვუპასუხო ამ კითხვას... თუ ნაიღეს მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი, იმიტომ, რომ მე შუამდგომელი ვარ სტუდენტს და გიორგი მერჩულეს შორის, სტუდენტსა და რუსთაველს შორის, სტუდენტსა და ილია ჭავჭავაძეს შორის და ა.შ. დღობა, ვახერხებ იმ თვალმუდგამი სინათლიდან, რაც თითოეული მათგანის წიგნიდან მოდის, რამდენიმე სხივი მაინც მოვიხელოთ და მივმართო სტუდენტის სულის სარკმელს. დიდი სულიერი სინათლის მცირე ნაწილიც საკმარისია, რათა კარგი სტუდენტის სული დაიპყროს. ერთ რამესაც დავსძენ: დიდ რუს რეჟისორს, სტანისლავსკის უთქვამს: თეატრში მოსულ საზოგადოებას კარგი მსახიობები ნამდვილად ზრდის, მაგრამ კარგი მასწავლებელი, თავის მხრივ, ზრდის კარგ მსახიობს. რისი თქმა მინდა? კარგი სტუდენტის სულის სარკმლიდან ისეთი სინათლე და მუხტი მოდის, პედაგოგსაც რომ ზრდის. კარგ ლექტორს, ჩვეულებრივ, ლექციის დამთავრების შემდგომ აუდიტორიის გარეთ მოჰყვებიან ხოლმე და დერეფანშიც შეიძლება გაგრძელდეს

საუბარი. ასეთი საუბარი მრავალხანაგოვანი ხდება ხოლმე, მკაცრი აკადემიური თემატიკიდან ადვილად გადაიზრდება გულთბილობის ვითარებაში, მოძღვრისა და მოწაფის სიახლოვეში. ასეთ შემთხვევაში იბადება ხიბლი.

კიდევ ერთი წყარო ჰქონდა იმ ხიბლს, თქვენ რომ ასხენეთ — ექსპურსიები... იყო დრო, როცა ახალგაზრდაობის ერთობ იზიდავდა თავისი ქვეყნის ბუნება და სივრცე, ეროვნული კულტურის ძველები, ეთნიკურად თავისებური იერ-სახე თუ ადათ-წესები. წყნობადა ფოლკლორული ექსპედიციები. ამ დროს ფართოვდება მინაგანის ხედვის თვალსაწიერი; იზრდება პიროვნება; სინამდვილის რაციონალურ-ლოგიკურ შემეცნებას ამდიდრებს ლტოლვა ირაციონალურისადმი; მიზეზი-მიზეზებისაკენ ფრთებს შლის ინტუიცი და ესთეტიკურის ფრცხვად; გამოჩნეული ხიბლით იმოსება და ღრმავდება სამშობლოს ფენომენი და სისხლბოროცული კავშირის შეგრძნება წინაპრებთან. ამის კვლობაზე იტყვის დიდი ფილოსოფოსი ნიკოლოზ ბერდაიევი: „ეროვნული ცხოვრება არის უწყვეტი კავშირი წინაპრებთან და პატივისცემა მათი ანდერძისა. ერის ნებაში მონაწილეობენ არა მხოლოდ ცოცხალი, არამედ გარდაცვლილიც, მონაწილეობის დიდი წარსული და ჯერ გამოუცნობი მომავალი. ერში შედიან არა მხოლოდ ადამიანთა თაობები, არამედ ტაძართა და კარ-მიდამოთა ქვეები, საფლავის ლოდები, ძველი ხელნაწერები და წიგნები. და იმისთვის, რომ ვწვდეთ ერის ნებას, უნდა ვუსმინოთ ამ ქვეებს, ნავიკითხოთ ვაცრეცილი ფურცლები“.

სათუთად ვინახავ მთელ დასტას ჩემი ყოფილი მონაფეების წერილებისა, რომლებშიც ისინი ახალგაზრდული გატაცებით იგონებენ იმ დღეებს, როცა ერთად დავეცხტებოდით ქართლისა და ახეთის, რაჭის და სვანეთის, ლეჩხუმის, აჭარის, ფშავისა და თუშეთის გზა-ბილიკებზე; არხოტიდან (ხევსურეთი) მდინარე ასას ხეობით მივბობავდით ინგუშეთისკენ, სადაც ტყობა-ერდის ქართული ბაზილიკა გველოდა; ერთად ვიზრდებოდით ყინვისისა და უბისის ფრესკების ჭყრეტივ; ვხარობდით მზის სხივებში ვახვეული უბისის მყინვართა თუ ყელის ტბის ზედაპირის ცისფერ სარკვეზე დასაშვებდ მოსწრაფე თოვლის ცქერით შუა ოქტომბერში. ერთი სიხარულით ვხარობდით ისინი და მე. ოღონდ ჩემს სიხარულს კიდევ ერთი წყარო ასაზრდოვდა — მუსხატიას გაბრწყინებული თვალები ახალგაზრდებისა.

— ბედნიერების ფორმულის თქვენული ფორმულა... ამ გადასახედვიდან, შეგიძლიათ თუ არა თქვან, რომ ბედნიერი ადამიანი ხართ...?

— მე არაფერი ვამბობ ბედნიერების ფორმულას. ის კი ვიცი, რომ ადამიანი ბედნიერი მაშინაა, როცა კარგად არის მისი ქვეყანა.

— რას იტყვით საკუთარ თავზე — ვინაა და როგორია გრივერ ფარულავა?

— რასაც მეკითხებით, ის ყველაზე ნაკლებ ვიცი. გამიგონია, მკაცრი იყო. მხოლოდ ერის ვიტყვი: ასეთი ვარ, უპირველეს ყოვლისა, საქუთარი თავის მიმართ.

— თქვენი ოჯახი და თქვენ... ვიცით რომ გიყვართ მინასთან ურთიერთობა...

— მყავს მეუღლე და სამი შვილი. მეუღლე ლენეს არ იშურებს უფლის საზიდავად. შვილები ცდილობენ, იყვნენ არა მხოლოდ შვილები, არამედ მემკვიდრენი. ვისვენებ სოფელში, დიას, მინასთან ურთიერთობაში. გამორჩეულად ვაზს ვეახლოვები, ისიც გულუხვად მაჯილდოებს... დღემდე მიტაცებული თამაში ხეტილია, ტყისა და წყაროს მიყურადება.

— რაზე ოცნებობთ?  
— რაზე ვოცნებობ? — ქართულ საქართველოზე.

მოამზადა მაია ტორაძე

# ქსელური ტექნოლოგიის განვითარება თსუ-ში

თამარ ღაღინი

სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებას, ბუნებრივია, რომ განსაკუთრებული ადგილი უკავია სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო დაწესებულებებშიც. სწორედ ასეთი ტიპის ორგანიზაციებს მიეკუთვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც ქსელური ტექნოლოგიების განვითარებას პრიორიტეტული ადგილი უკავია.

სწორედ ამ მიზნით, 5 ივლისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შეხვდა „Delta systems“-ის წარმომადგენლებს: ბიზნესის განვითარების მენეჯერს კარლო მათიათიშვილს და ტექნიკურ დირექტორს ოლეგ კონოვალოვს, რომლებმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ-ის ქსელის ტოპოლოგიის ახალი მოდელი წარმოადგინეს. ეს შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის ინიცირებით მოხდა, რომელიც „Delta systems“-თან ერთად სამი თვის განმავლობაში მუშაობდა ამ პროექტის დაგეგმვაზე.

პროექტი, ზოგადად, ეხებოდა საინფორმაციო ტექნოლოგიების განახლებას. თსუ-ის ყველა კორპუსი ინტეგრირებული უნდა იყოს

ინტერანეტში. ინტეგრირების განხორციელებისათვის კი მნიშვნელოვანია თსუ-ის მილიანი ქსელური ინფრასტრუქტურის შექცევა, ახალი თანამედროვე სერვისის გამართვა, რაც ყველა იმ უარყოფით მხარეების აღმოფხვრის საშუალებას მოგვცემს, რაც დღესდღეობით გვაქვს.

„Delta systems“-ის ბიზნესის განვითარების მენეჯერმა კარლო მათიათიშვილმა წარმოადგინა „Delta systems“-ის მუშაობის მიზნები, შესრულებული სამუშაოები, განვითარების მიმართულებები.

ექსპერტმა ოლეგ კონოვალოვმა, თსუ-ის ინფრასტრუქტურის ტრანსფორმაციის პროექტი: — „IT as a Service“ წარმოადგინა — ეს სერვისი ორიენტირებულია IT სამსახურზე, IT ინფრასტრუქტურაზე, რომლის მიზანია სწავლების, სწავლის და სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერა. გვინდა თსუ-ში არსებული ინფრასტრუქტურის, მიდგომებისა და გეგმების ღრმა ანალიზი გავაკეთოთ. ჩვენს ორგანიზაციას შეუძლია თსუ-ის ინფრასტრუქტურა განავითაროს და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული გახადოს. ჩვენი პროექტის იდეა მდგომარეობს შემდგომ, რომ ახალი რესურსების, სტორიების, პროცესინგის, კომპიუტერის, პროგრამების დაინსტალირება გახადოს ადვილი, სწრაფი და ხელმისაწვდომი. ახალი

ქსელის დანერგვა როგორც სტუდენტს, ასევე პროფესორს საშუალებას მისცემს უფრო ხარისხიანი, სწრაფი და დაცული სერვისებით ისარგებლოს. პროექტის დანერგვის შემთხვევაში IT დეპარტამენტის მუშაობა გადგება უფრო მოქნილი და სწრაფი. სტუდენტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია რა სერვისის მოხმარება შეუძლია მას არჩეულ უნივერსიტეტში, იქნება თუ არა ის კომპიუტერული და სწავლების პროცესზე ოპტიმალურად მორგებული. ასევე მნიშვნელოვანია თსუ-ის IT ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება, რომელიც ჩვენს მიერ შემოთავაზებული სერვისით გარანტირებულია იქნება დაუცული. — განაცხადა ოლეგ კონოვალოვმა.

საუნივერსიტეტო ქსელის მოდერნიზაცია აუცილებელია იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ წინაშეც დგას უნივერსიტეტი, კერძოდ ხდება ინფრასტრუქტურის გაფართოება, იზრდება კომპიუტერების რაოდენობა, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მეტ დატვირთვებს ქსელურ მონაცემთა ბაზაზე და ზრდის უსაფრთხოების რისკებს. აქედან გამომდინარე, უნდა მოხდეს ქსელის რეორგანიზაცია თანამედროვე მონაცემთა ბაზის გამოყენებით, რათა შევინარჩუნოთ კომპიუტერული ქსელის სტაბილური მუშაობა და მისი უსაფრთხოება. ამ ამოცანების გადასაწყვეტად შევარჩიეთ ისეთ აპარატურას,

რომელსაც სტაბილურად უჭირავს ადგილი თანამედროვე ქსელური ტექნოლოგიების ბაზარზე და რომელმაც მომხმარებელთა და პროფესიონალებთან ალიარება მოიპოვა.

„Delta systems“-ისა და თსუ-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრის მიერ შემოთავაზებული ერთობლივი პროექტის განხორციელება საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო გავაფართოოთ და გავაუმჯობესოთ ის სერვისები, რომლებიც როგორც ნესის გამოიყენება ისეთი სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციის მიერ, როგორც უნივერსიტეტებია. ეს ინტერნეტ სერვისებია: Web, FTP, SMTP, IMAP, POP3.

თსუ-ში მიმდინარე რეფორმები ხშირად იწვევს სასწავლო და აკადემიური სტრუქტურების ცვლილებას, რაც მოითხოვს ქსელის მობილობას და მასშტაბურობას. სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განსავითარებლად „Delta systems“-თან ერთად შევიმუშავეთ ქსელის ტოპოლოგია, რომელიც იმ პრობლემების აღმოფხვრის საშუალებას მოგვცემს, რაც დღესდღეობით არსებობს, — განაცხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის ხელმძღვანელმა არჩილ ელიზბარაშვილმა.

# ასლად შექმნილ ინტერნეტ-ტელევიზიას უკვე დირექტორი ჰყავს

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ, რომელმაც წინა სხდომაზე უნივერსიტეტის ინტერნეტ-ტელევიზიის შექმნის თაობაზე აკადემიური საბჭოს დადგენილება დაამტკიცა, ტელევიზიის დირექტორად გოგა ჩართოლანი აირჩია. უახლოეს პერიოდში კი ინტერნეტ-ტელევიზიის სტრუქტურისა და მისი შემადგენლობის დამტკიცება მოსალოდნელია.

ინტერნეტ-ტელევიზიისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შესაძენად უკვე მიმართეს გარკვეულ ფონდებს და ტექნიკის შეძენა მათი დახმარებით მოხდება, უნივერსიტეტი კი მხოლოდ ტელევიზიის თანამშრომელთა ხელფასებს აანაზღაურებს. რაც შეეხება სერვერს, მისი გაუმჯობესება უახლოეს მომავალში იგეგმება. ინტერნეტ-ტელევიზიას, ის ტექნოლოგიების თვალსაზრისით, უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი მოემსახურება.

ინტერნეტ-ტელევიზია — თსუ.ტვ/TSU-TV სრული სარედაქციო დამოუკიდებლობით ისარგებლებს. დებულებაში მითითებულია, რომ „თსუ.ტვ/TSU-TV“ წარმოადგენს საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს და სარგებლობს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულისათვის მინიჭებული უფლებამოსილებებით. ტელევიზია ხელს შეუწყობს მეცნიერების პოპულარიზაციას; საგანმანათლებლო და სამეცნიერო რესურსების ჩართვას სასწავლო პროცესში; ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტთა პრაქტიკულ მომზადებას ტელემაუწყებლობებში მუშაობისთვის; ასევე, ტელევიზია შექმნის არქივს, გააშუქებს საუნივერსიტეტო ცხოვრებას, ითანამშრომლებს როგორც საქართველოს, ასევე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მაუწყებლებთან. ტელევიზიის ფუნქციასა და როლზე უფრო დანერგვით მისი ახლად არჩეული დირექტორი გოგა ჩართოლანი გეგმაუბნობს:

— **საინტერესოა რას ვაკეთებთ ინტერნეტ-ტელევიზია და რას იტყვიან ახალსაინფორმაციო ინტერნეტ-სერვერები?**

— თუ როგორი იქნება ინტერნეტ-ტელევიზია, ეს კარგად ჩაინერგა დებულებაში და იმ ნიშნულზე, რომლითაც რედაქციის ბატონ ალექსანდრე კვიციანილიანს შევედით. პირველყოფილსა, ეს იქნება სასწავლო-საგანმანათლებლო ინტერნეტ-ტელევიზია, ანუ ტელევიზია, რომელიც უშუალოდ იქნება ჩართული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო-სამეცნიერო ცხოვრებაში. ტელევიზიის ასეთი ფორმა მრავალად არსებობს მთელ მსოფლიოში საქართველოს გარდა. მოგეხსენებათ, რომ ჩვენთან საგანმანათლებლო-სამეცნიერო და კულტურული მოღვაწეობის არსებობს და ამ მიმართულებით მომზადებული გადაცემებს სხვადასხვა ტელეკომპანია ეთერში მხოლოდ პერიოდულად ათავსებს. უნივერსიტეტის ინტერნეტ-ტელევიზია კი სწორედ ამ ნიშნულზე იქნება ექვემდებარება.

ჩვენ შეგვიძლია, ტელეპროდუქტად ვაქციოთ უნივერსიტეტში მოღვაწე არქიტექტორების, ფოტოკოსების, ქიმიკოსების, ბიოლოგების და სხვა ნებისმიერი სფეროს წარმომადგენელთა სამეცნიერო-კვლევითი შედეგები, ასევე, პროფესორთა ლექციებიც გადაცემის, დოკუმენტური ფილმის ან მცირე ნარკვევის ფორმით. ეს, პირველყოფილსა, ნაადგება ინტერნეტის სა-

სასწავლო-საგანმანათლებლო გადაცემების გარდა, ინტერნეტ-ტელევიზიას ექნება ახალი ამბების გამოშვებაც, რომელიც უნივერსიტეტის სიახლეებს გადმოსცემს. სწორედ ამ ნიშნულს კეთებისა მიეცემა სტუდენტებს, როგორც ნამყვანებს ან რეპორტიორებს, თავიანთი რესურსის გამოყენებისა და პრაქტიკაში თავისი მოსწავლის საშუალება.

— **დებულებაში მითითებულია, რომ ინტერნეტ-ტელევიზია წარმოადგენს სრული სარედაქციო დამოუკიდებლობით აღჭურვილ სტრუქტურულ ერთეულს. რა იგულისხმება სარედაქციო დამოუკიდებლობაში?**

— ამ პუნქტში იგულისხმება დამოუკიდებლობა ყოველგვარი პოლიტიკური პარტიების ზეწოლისგან და სახელისუფლო ორგანოებისგან, რადგან უნივერსიტეტი, წესდების თანახმად, ავტონომიურია.

— **ანუ ინტერნეტ-ტელევიზიის დირექტორი სარედაქციო პოლიტიკას დამოუკიდებლად წარმოართავს?**

— ტელევიზიის ხელმძღვანელობა თავის სტრატეგიულ მიმართულებებს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმების, ხოლო რა ტელე-პროდუქტი უნდა შექმნას და რა როგორ უნდა გაშუქდეს — ამას გადაწყვეტს ის ჯგუფი, რომელიც პროფესიონალებით დაკომპლექტდება. რაც შეეხება ჯგუფის შემადგენლობას, ჯერ ყველაფერი გარკვეული არ არის. ველოდებით, როდის დაამტკიცებენ ტელევიზიის სტრუქტურასა და შემოქმედებით ჯგუფს.

ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება, თუ სად უნდა განთავსდეს ინტერნეტ-ტელევიზია — ჯერჯერობით ეს ცნობილი არ არის. არც ის ვიცით, სად იქნება სტუდია, რამდენი კამერა გვეჭირდება, ანუ მენბოსა და ტელევიზიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღჭურვის საკითხი დამუშავების პროცესშია.

რაც შეეხება დაფინანსების თემას, ტელევიზიის ძირითად შემადგენლობას უნივერსიტეტის ბიუჯეტი დააფინანსებს, ხოლო ტელევიზიის ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასა და სხვა დამატებითი სახსრების მოძიებაში დონორი ორგანიზაციები დაგვეხმარებინან და ამ მიზნით გრანტებსაც მოვიძველებთ.

— **საგარეოდ როდის აპირებთ მუშაობის დაწყებას?**  
— ესეც იმაზეა დამოკიდებული, რამდენად

მომზადდა  
ნიმუშა

## თსუ-ის სახელი ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ტრიბუნლიდან გაჟღერდა

პარვარდის უნივერსიტეტი ერთ-ერთი ლიდერია მსოფლიოს ყველაზე წარმატებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა შორის. ამიტომ ამ უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოებასთან კონტაქტის დამყარება დიდი პატივია ნებისმიერი უნივერსიტეტისა და მეცნიერისთვის. სწორედ ეს პატივი ხვდა წილად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორს დალი ოსეფაშვილს, რომელმაც საქართველოსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ტრიბუნლიდან გააჟღერა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე (IJAS, "International Journal of Arts & Sciences"), რომელიც მიმდინარეობს 11-17 ივლისს პარვარდის უნივერსიტეტში გაიმართა, დალი ოსეფაშვილმა წარადგინა მოხსენება: „რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი ამერიკულ მედიაში (ჟურნალ „Time“-ს მიხედვით)“.

მეცნიერება ის ქვეყნებია, რომელიც ქვეყანას, მისი ტერიტორიული სიდიდისა და ეკონომიკური განვითარების დონის მიუხედავად, განვითარებულ სახელმწიფოთა შორის უმჯობესად ადგის. მეცნიერების განვითარება კი ის კატალიზატორია, რომლის მიხედვითაც ფასდება ერის კულტურული იდენტობა, მისი ინტელექტუალური შესაძლებლობები და პოტენციალი — შეიტანოს წვლილი თანამედროვე მსოფლიოს განვითარებაში. ქართველი მეცნიერის ვიზიტი პარვარდის უნივერსიტეტში იმის დასტურია, რომ პოსტსაბჭოთა მეცნიერება და ნელ-ნელა შლის იმ საზღვრებს, რომელიც საბჭოთა წყობილებამ, ყველა სხვა სფეროსთან ერთად, მეცნიერებასაც შემოუფარავლა.

დალი ოსეფაშვილის მიერ პარვარდში წარდგენილია მოხსენებამ „რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი ამერიკულ მედიაში (ჟურნალ „Time“-ის მიხედვით)“ სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეთა ინტერესი გამოიწვია, რაც იმის დასტურია, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია და აგვისტოს ომი ჯერაც რჩება არა მხოლოდ პოლიტიკოსთა, არამედ მეცნიერთა კვლევისა და მსჯელობის საგანად.

რატომ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი და რატომ ჟურნალი „Time“? რა შედეგები მოიტანა ამ ვიზიტმა და რას უნდა ველოდეთ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერისგან? ამ კითხვებით მივმართეთ დალი ოსეფაშვილს, რომელმაც დანერგვით გაგვიანალიზა ამგვარი სამეცნიერო კონფერენციების მნიშვნელობა და მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების გამოძახილი აგვისტოს ომის თაობაზე.

### მაია ტორაძე

— **აქვე დავაკონკრეტოთ, რა გიჩვენათ კვლევამ და რა დასკვნამდე მიხვედით, რა იყო ის მნიშვნელოვანი ელემენტები, რამაც კონფერენციის მონაწილეთა ინტერესი გამოიწვია?**

— სამეცნიერო მოხსენების დასკვნა, ცხადია, არ სცილდება საკვლევ თემას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ვაკლენიანი საერთაშორისო გამოცემა ნეიტრალურად აშუქებს რუსეთ-საქართველოს ომს და არ ერიდება არც საქართველოს, არც რუსეთის და არც აშშ-ს პრეზიდენტების კრიტიკას, აშკარაა პატარა დემოკრატიული ქვეყნის მხარდაჭერა, რაც „Time“-ის ავტორთა მხრიდან ხშირად პირდაპირი შეფასებით გამოიხატება.

— **რა გამოხმაურება ჰქონდა მოხსენებას კონფერენციის მონაწილეთა შორის?**

— მთავარი იყო, რომ ეს თემა, რომელიც კონფერენციაზე ძნელი გასატანი გახლდათ, რადგან ამერიკელების წინაშე ამერიკულ მედია-გამოცემას ახალაღიზიანებდა, მონაწილეთა ინტერესით მოიპოვინეს. გაჩნდა კითხვებიც. კერძოდ, რუსი მეცნიერი დაინტერესდა, რატომ გადაწყვიტეთ ომის კვლევა მაინცდამაინც „Time“-ში და მოახდინა თუ არა ზღვიანე ზეპინის სტატუსი გავლენა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე. მე დავასაბუთო, რომ სწორედ „Time“ იყო ამ ეტაპზე საინტერესო



საკვლევი და დავეთანხმე პოლიტოლოგთა მოსაზრებას, რომ ბუენოსაის სტატუსი გარკვეული გავლენა ნამდვილად მოახდინა რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ ურთიერთობაზე.

## პირველი სამეცნიერო ნაშრომი სტუდენტური თვითმმართველობის სამართლებრივ სტატუსზე

პირველად აღმოსავლეთ ევროპაში, კონკრეტულად კი საქართველოში, უფრო კონკრეტულად კი თსუ-ში, სტუდენტური თვითმმართველობის სამართლებრივი საკითხებთან დაკავშირებით პირველი დამამართლებელი სახელმძღვანელო — „სტუდენტური თვითმმართველობის სამართლებრივი მიმოხილვა“ გამოიცა. აღსანიშნავია, რომ ნიგნის ავტორი თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტი, საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების პრეზიდენტი დიმიტრი გიგინავა გახლავთ.

### ნათო მოლაქაძე

ნაშრომი „სტუდენტური თვითმმართველობის სამართლებრივი მიმოხილვა“ პოპულარულ ენაზეა დაწერილი და მისი ადრესატი ნებისმიერი პროფესიით დაინტერესებული პირი შეიძლება იყოს. ნიგნში განხილულია სტუდენტური თვითმმართველობის სამართლებრივი სტატუსი და, ამისათვის, საქართველოს გარდა, ევროპის სახელმწიფოების გამოცდილებაც გამოყენებულია. ნაშრომის საშუალებით მკითხველს სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ საკმაოდ ვრცელი ინფორმაციის მიღება შეუძლია, მაგალითად, თუ რა არის მისი მთავარი არსი, რა წერია საქართველოს კანონმდებლობაში სტუდენტთა თვითმმართველობის შესახებ, რა სხვაობაა ცნებებს „სტუდენტთა თვითმმართველობას“ და „სტუდენტურ თვითმმართველობებს“ შორის, რა მიზნები გააჩნია ამ ორგანიზაციას, რა ევალუა და როგორ უნდა განხორციელოს თავისი საქმიანობა, რითი განისაზღვრება მისი დაფინანსება და ა.შ. ნიგნში, ასევე, მოცემულია ინფორმაცია, თუ როგორ კომპლექტდება სტუდენტური თვითმმართველობა, როგორია მისი სტრუქტურა და დებულება, როგორ მონაწილეობს იგი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში როგორც საფაკულტეტო, ასევე, ცენტრალურ (საუნივერსიტეტო) დონეზე. დღეს, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ფუნქცია და საქმიანობა სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გარდა, ზოგადად, ქართული საზოგადოების განხილვის აქტუალურ საკითხად იქცა, მათთვის სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიწოდება აუცილებელი გახდა. დიმიტრი გიგინავას ნიგნი „სტუდენტური თვითმმართველობის სამართლებრივი მიმოხილვა“ საზოგადოებას საშუალებას მისცემს უკეთ გაეკვას სტუდენტური თვითმმართველობის უფლება-მოვალეობებში და მათი საქმიანობა დაეკვატურად შეაფასოს. აღსანიშნავია, რომ ნაშრომი მცირე ტირაჟით (250 ცალი) გამოიცა და, შესაბამისად, ჯერჯერობით, მკითხველთა დიდ რაოდენობას ვერ მოიცავს.

„ეს ნიგნი, მართლაც, განსაკუთრებულია, რადგან აღმოსავლეთ ევროპაში ამ თემატიკასთან დაკავშირებით არც ნაშრომი შექმნილა და არც ხარისხიანი სტატია. საინტერესო იყო ამ თემაზე წერა და მუშაობა იმის გათვალისწინებითაც, რომ იგი მეტად აქტუალური თემაა ქართულ საზოგადოებასა თუ მთელ პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც. ყველანაირად შევეცადე, რომ შექმნილიყო ისეთი ნაშრომი, რომელიც არა მხოლოდ იურისტებისთვის იქნებოდა საინტერესო, არამედ ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.“ — განაცხადა დიმიტრი გიგინავამ.

ნაშრომის „სტუდენტური თვითმმართველობის სამართლებრივი მიმოხილვა“ პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 15 ივლისს გაიმართა. როგორც ლონის-ძიებაზე იქცა, ნიგნის მიმართ შენიშვნები უკვე არსებობს და ეს ბუნებრივია, რადგან იგი მთლიანად სტუდენტების ძალისხმევით გამოიცა, თუმცა მისი რედაქტორი პროფესორი პაატა ტურავა გახლავთ.

სტუდენტური თვითმმართველობის სამართლებრივი მიმოხილვაზე მუშაობა, გარკვეულწილად, რისიკიანი ნაბიჯიც გახლავთ, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ეს რისიკი დაამართლებს, — აღნიშნა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი მოადგილემ თეა ჯუღელი.

ნიგნი „სტუდენტური თვითმმართველობის სამართლებრივი მიმოხილვა“ დიმიტრი გიგინავას პირველი ნაშრომი არ გახლავთ. მას სხვადასხვა გამოცემებში უკვე გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები. შემოდგომაზე, ახალი სასწავლო წლის დაწყების შემდეგ კი იგი კიდევ ერთი ნიგნის პრეზენტაციას გეგმავს, რომელიც საეკლესიო (კანონიკური) სამართლის თემატიკას შეეხება.

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტის დიმიტრი გიგინავას ნაშრომი „სტუდენტური თვითმმართველობის სამართლებრივი მიმოხილვა“ საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების ხელშეწყობით და დაფინანსებით დაიბეჭდა. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი ნიგნია, რომელიც ამ საზოგადოების ეგიდით გამოიცა.

# საყოველთაო პრივილეგიები სახელმწიფო ენის სწავლისთვის

## მესამე გვერდიდან

თარი ძალეობით ვერ მოვაგვარებთ. ვხედავთ და ვგრძობთ, რომ ის 60 კრედიტული პროგრამის გავლის მიუხედავად, სტუდენტები კვლავ თავის მშობლიურ ენობრივ გარემოში იმყოფებიან, რაც საკმაოდ ართულებს ვითარებას. ჩვენ ვაპირებთ გარკვეულ ღონისძიებებს მათთვის, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რასაც ჩვენი ძალეობით ასევე ვერ მოვკვრივებთ — ეს არის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი არდადეგებისა. შესაძლებელია, რომ ამ პერიოდში ის, რაც ისწავლეს, ნაწილობრივ დაავიწყდეთ. ეს არის საფრთხე. ამ მიმართულებით აუცილებლად უნდა გააქტიურდეს როგორც უნივერსიტეტი, ისე ის ორგანიზაციები, რომლებსაც სურთ, რომ ხელი შეგვიწყონ ამ საქმიანობაში.

2011 წლის მისაღები კონტინგენტი უკვე განსაზღვრულია, ვიცით აბიტურიენტთა რაოდენობა: 192 ადგილი აზერბაიჯანულენოვანი და 192 სომხურენოვანი აბიტურიენტებისთვის გამოიყო. პირველ არჩევანად თსუ დაასახელა 347-მა აზერბაიჯანელმა და 202-მა სომეხმა ახალგაზრდამ.

სწავლების პროცესში ბევრი რამ ვისწავლეთ, დიდი გამოცდილება დავაგროვეთ. ასე რომ, მომზადებული შეხვედრებით უკვე 2011 წლის ახალ ნაკადს, ისინი გაცილებით მეტნი იქნებიან და ჩვენც ვაპირებთ მათთვის მათთვის, განახლებული პროგრამითა და იმ გამოცდილებით, რაც დავაგროვეთ, შევუდგებით სწავლებას.

## ენის ათვისების უნარ ეთნიკური ნიშანი არ განაპირობებს

**კახა გაბუნია**, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

— **საინტერესოა, როგორ მიიღწიან ენის ათვისების უნარს?**

ჩვენ დიდი ხანია, რაც ვახორციელებთ სხვადასხვა ტიპის პროექტს ქართული ენის სწავლების მიმართულებით. წინათ სახელმწიფოს მხრიდან არ ჩანდა დაინტერესება, რადგან, პრაქტიკულად, სახელმწიფო ერთ „ტავაში ხარშავდა“ ქართულენოვან და არაქართულენოვან აბიტურიენტებს თუ სტუდენტებს, რაც, ჩემი აზრით, ინვესტა უსამართლობის განცდას. ჩვენ არ ვასწავლიდით მათ სახელმწიფო ენას იმ დონეზე, რა დონეზეც ვთხოვდით ენის ცოდნას. ჩვენ ქართულენოვან და არაქართულენოვან სტუდენტებს თანაბარ პირობებში ვაყენებდით და, შესაბამისად, ისინი ვერ ლახავდნენ ამ ზღვარს. ამიტომ მიდიოდნენ სასწავლებლად ბაქოში, ერევანში, მოსკოვში, ანუ ხდებოდა ინტელექტის გადინება. ამ წლების განმავლობაში ეს იყო ძალიან ცუდი პოლიტიკა.

რაც შეეხება ქართული ენის ათვისების უნარს, მიმაჩნია, რომ არანაირი ეთნიკური ნიშანი არ განაპირობებს ათვისების უნარს ქონა-არქონას. აზერბაიჯანელებშიც და სომხებშიც არის რაღაც კატეგორია, რომელსაც უჭირს ენის სწავლა, მაგრამ არის ისეთი ხალხიც, რომელიც ყველაფერს ისრუტავს. ერთადერთი, რაც შემინდია ვთქვა, არის ის, რომ რეგიონებში ძალიან მძიძი მდგომარეობს, ზოგადად, განათლების დონის თვალსაზრისით და, ბუნებრივია, ეს აისახება ამ პროცესზეც.

— **საქართველოში მათი დასაქმების პრობლემაც ხომ არ იყო?**

რა საკვირველია, დასაქმდება ის, ვისაც აქვს საჭირო განათლება, საჭირო მომზადება და ფლობს სახელმწიფო ენას. არაქართულენოვანი აბიტურიენტებისთვის „სამშობლოში პოლიტიკის“ შემოღება იყო მართლაც მნიშვნელოვანი გადარჩევითი წილი.

— **საერთოდ რას ამბობენ, რთულია ქართული ენის სწავლა?**

მე თავად ლინგვისტი ვარ, ვარ ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი და ამ საკითხებში ძალიან ბევრი მიმუშავია. შემძლია გითხრათ, რომ არ არსებობს რთული და მარტივი ენა. თუ სწორი მეთოდოლოგიით ასწავლი, არაფერი რთული არ არის.

— **რა პრობლემას დააყენებდით სახელმწიფოს წინაშე, რისი გადაჭრაც დაგეგმავთ?**

ძალიან კარგი იქნებოდა, რომ უფრო ქმედითი ღონისძიებები გატარდეს იმ მიმართულებით, რაზეც ჩვენ ძირითად აქცენტს ვაკეთებთ. როცა ვლაპარაკობთ ბილინგვურ განათლებაზე, აქ იგულისხმება არა ის, რომ ჩვენ რაღაცას ვემუშავებთ და სინამდვილეში გვიწინა, რომ მათ სახელმწიფო ენა ვასწავლით. ბილინგვური განათლება არ უნდა გაითვალისწინდეს, როგორც ერთი სახე ქართული ენის სწავლებისა. როდესაც ვამბობთ, რომ ქართული უნდა ისწავლოს, (მთავარ პოსტულატს ჩამოვყალიბებ) ამავე დროს მათ უნდა ვუთხრათ, რომ შენ ქართულს სომხურის, აზერბაიჯანულის, ოსურისა ან ფხაზურის ხარ-

ჯზე კი არ გასწავლი, არამედ გინარჩუნებ მშობლიურსაც და ვთავაზობ მეორე ენის სწავლასაც. ასე რომ, მიდგომა სხვანაირი უნდა იყოს.

## როგორ დავანახოთ ქართულ სახელმწიფოში მომავლის პერსპექტივა რუსული სკოლების მოსწავლეებს

**შალვა ტაბატაძე**, სამოქალაქო ინტეგრაციის ცენტრის ხელმძღვანელი და თსუ-ის მონველი პროფესორი:

— **რა არის ვასაკეთებელი იმ მიმართულებით, რა მოხსენებაც თქვენ წაიკითხეთ?**

— მთავარია ის, რომ ბილინგვური განათლების რეფორმაში, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის, ისე ფინანსური თვალსაზრისით, დიდი რესურსები იდება. ახლა მთავარია, სკოლამ სწორად განსაზღვროს — რა საჭიროებები და შესაძლებლობები აქვთ ბილინგვური განათლების რეფორმის განსახორციელებლად და, შესაბამისად, უნდა ამოქმედდეს ძლიერი ბილინგვური განათლების პროგრამა. ეს გულისხმობს კომპეტენციას ორივე ენაში და მაღალ აკადემიურ მოსწრებას ყველა საგანში, გარდა ამისა, ინტერკულტურულ განათლებასა და ტოლერანტობის განვითარებას ყველა მოსწავლეში.

— **რა ითვალისწინებს ბილინგვური განათლების რეფორმა?**

— ბილინგვური განათლების რეფორმა ითვალისწინებს, რომ სკოლებში სწავლების ენად გამოყენებულ იქნას ორი ენა — მოსწავლეთა მშობლიური ენა და სახელმწიფო ენა. რეფორმა ითვალისწინებს იმას, რომ საგნები ისწავლებოდეს როგორც ქართულ ენაზე, ისე მათსავე მშობლიურ ენაზე ეტაპობრივად. საგნების განაწილება როგორ და რა პროცენტით მოხდება, ამას უნდა აკეთებდეს სკოლა. სწორედ სკოლამ უნდა განსაზღვროს, თუ რა საკადრო რესურსი გააჩნია და რამდენი მონვეული სპეციალისტი სჭირდება. შემდგომ კი სამინისტრომ სკოლისთვის შესაბამისი ადამიანური რესურსი უნდა გამოიყოს.

— **თქვენ რეკომენდაციებს თუ მიეცემა ისეთი სახე, რომ ეს სკოლებმა გაითვალისწინონ?**

— ვიმედოვნებ, რომ მიეცემა, რადგან 2001 წლიდან ამ მიმართულებით ვსაქმიანობ და ის რეკომენდაციები, რომელსაც ვამუშავებთ ხოლმე, აუცილებლად იქნება გათვალისწინებული. სამეცნიერო, თუ როდის? არაქართულენოვანი აბიტურიენტებისთვის „სამშობლოში პოლიტიკა“ მისაღებ გამოცდებზე ადრეც უნდა გატარებულიყო — ამაზე რეკომენდაცია ჩვენ 2005 წელსაც გვექონდა. 5 წელი დასჭირდა იმას, რომ გადაწყვეტილება მიეღო. ეს რომ იმავე წელს გაეთვალისწინებინათ, დღეს უკვე სხვა რეალობა გვექნებოდა, ანუ ძალიან ბევრი ახალგაზრდა გვეყოლებოდა უმაღლესდაბთავრებულში, რომელთა გამოყენება აქტიურად იქნებოდა შესაძლებელი რეგიონში.

— **ქართული ენის სწავლით დაინტერესებული მოსწავლეები თუ არიან რეგიონების სკოლებში?**

— სხვადასხვა ტიპის დაინტერესება: ქვემო ქართლში მშობლისა და მოსწავლის მოტივაცია არის სხვა, თუმცა გზის არჩევა არასწორია. ბავშვები მიჰყავთ ქართულ სკოლაში და ფიქრობენ, რომ მიიღებენ შესაბამის განათლებას. სამცხე-ჯავახეთში არის ოდნავ განსხვავებული ვითარება: იქ არის მშობლითა ნაწილი, რომელიც ფიქრობს, რომ ბავშვმა შეიძლება ორ ენაზე (მშობლიურსა და ქართულზე) მიიღოს განათლება, უმეტესობა თვლის, რომ მხოლოდ მშობლიურ ენაზე უნდა ისწავლოს და დარჩა მშობლიური დიდი ნაწილი (ამაზე სტატისტიკაც მიუთითებს), რომ ბავშვებმა განათლება უნდა მიიღონ რუსულ ენაზე, რადგან პერსპექტივა უფრო დიდია. მაგალითად, ახალქალაქის რაიონში არის რამდენიმე სკოლა: 1 ქართულენოვანი, რომელსაც ძალიან მცირე კონტინგენტი ჰყავს; 3 სომხურენოვანი, სადაც მოსწავლეთა საერთო რაოდენობა, დაახლოებით, 900-მდეა და 1 რუსულენოვანი სკოლა, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა 800-ია.

— **ამ ფონზე რა პოლიტიკას ატარებს განათლების სამინისტრო?**

— რუსულ სკოლაშიც შემოვიდა ბილინგვური განათლების პროგრამა, რაც სტატისტიკის ნაწილის სახელმწიფო ენაზე სწავლას ითვალისწინებს. ანალოგიური სიტუაციაა ახალციხეშიც, სადაც სწორედ რომ რუსულენოვან სკოლებში დაიწყო ბილინგვური განათლება.

— **ვინ უნდა იმოქმედოს იმისთვის, რომ სახელმწიფო ენის სწავლებისადმი დამოკიდებულება შეიცვალოს?**

— რა თქმა უნდა, სახელმწიფომ და უფრო მეტად არასამთავრობო ორგანიზაციებმა. წარმოუდგენელია, რომ სამინისტროს წარმომადგენლები ყველა სოფელსა თუ რაიონში ჩავიდნენ, ამიტომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც ადგილზე ფუნქციონირებენ, კარგად უნდა აუხსნან მშობლებს, რა სჯობს მათი შვილების მომავალი წარმატებისთვის საქართველოში. რაც შეეხება რუსულენოვან სკოლაში სწავლას, აქ პრობლემა სხვა რამაა. მშობლები ხედავენ პერსპექტივას, რომ მათი შვილები იცხოვრებენ რუსეთში, ჩააბარებენ რუსულ უმ-

ალეს სასწავლებელში და ამიტომ ასწავლიან რუსულენოვან სკოლებშიც. ჩვენი მიზანია, რომ მათ პერსპექტივა დავანახოთ ქართულ სახელმწიფოში. მეორეა, რამდენად უნდა ხარჯავდეს ქართული სახელმწიფო ფულს იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსთვისაც აპირობს ქვეყნიდან ნასვლად. ამიტომ შევთავაზებ მათაც ბილინგვური პროგრამები, ანუ რუსულ ენაზე თუ მიიღებენ კარგ განათლებას და, ამავე დროს, სახელმწიფო ენასაც ისწავლიან, ეს იქნება იდეალური ვარიანტი.

## ბილინგვური განათლების პრინციპთა განსაზღვრავ მუშაობა საჭირო

**მზავინარ მზავინარე**, თსუ-ის დოქტორანტი:

— **სამცხე-ჯავახეთში რამდენად არის მოსახლეობა მზად — „მიიღოს“ ახალი ინიციატივები?**

— სამცხე-ჯავახეთის საშუალო სკოლებში უკვე 21 წელია ვასწავლი და კარგად ვიცი არსებული ვითარება. იქ ქართული ენის სწავლება არის უფრო პრობლემური იმ თვალსაზრისით, რომ მოსახლეობის უმრავლესობა რუსულ ენას ანიჭებს უპირატესობას, თუმცა, ბოლო წლებში, სიტუაცია მაინც შეიცვალა. გამოიკვეთა სტენდენცია, რომ ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადავვარდით იმის გამო, რომ ამჟამად მიმდინარე ბილინგვური განათლების რეფორმის არსი ჯერ სამცხე-ჯავახეთში არ იცინა. აქამდე რუსულ ენას სწავლობდნენ იმ მოტივით, რომ პერსპექტივას რუსეთში ხედავდნენ, რისი მიღწევაც დღეს უკვე ქართული ენის შესწავლათაც შესაძლებელია. ამიტომ ზოგმა მშობელმა არჩია, ყოველგვარი ბილინგვური პროგრამის გვერდის ავლით, ქართულ სკოლაში შეეყვანა ბავშვი. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ბილინგვური განათლების პრინციპთა გასაცნობად მეტი მუშაობაა საჭირო. როცა ქართული ენის მასწავლებლებს არაქართულ სკოლებში ამის თაობაზე ინფორმაცია არ აქვთ, წარმოიდგინეთ, რა იქნება საზოგადოებაში. ამიტომ სასურველია, რომ მეტად იყვნენ ინფორმირებული. ქართულ სკოლებში ბავშვის შეყვანაზე უფრო უკეთესი ვარიანტი გახლავთ ბილინგვური სწავლება — ეს ჩემი პირადი ხედვაა. მიმაჩნია, რომ ყველამ უნდა ისწავლოს მშობლიურ ენაზე და, ამავე დროს, იცოდეს სახელმწიფო ენა, რათა იმ ქვეყნის სრულყოფილი მოქალაქედ იგრძობს თავი, რომელშიც ცხოვრობს.

## ფსიქოლოგიური გარემოს დაკლავაზე მუშაობა აუცილებელია

**მზავინარე**, თსუ-ის პროფესორი:

— **ფსიქოლოგიური თვალსაზრისით რამდენად პრობლემურია ქართული ენის სწავლა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის?**

— აქ არის, ძირითადად, ორი მიმართულება: ერთია ფსიქოლოგიური ბარიერი და მეორეა სოციალური პრობლემები. ამიტომ ძალიან მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ ასიმილაციის საფრთხე არაქართულენოვან მოსახლეობას არ ემუქრება, რადგან, როგორც კი გაუჩნდებათ საკუთარი კულტურის დაკარგვის შიში, ენის მიმართაც ჩნდება მიუღებლობა და გარკვეული სახის ბარიერი. სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროექტებში ეს აქცენტები უკვე იგრძნობა.

## ჩვენ გვჭირდება ერთიანი პოლიტიკა და მიდგომა

**ალიონა ბაპრაძე**, ბათუმის უნივერსიტეტის რექტორი:

— **როგორც კონფერენციის მასპინძელი მხარე, როგორ შეფასებდით ქართული ენის სწავლებისადმი მიძღვნილი კონფერენციის მნიშვნელობას?**

— ჩვენი უნივერსიტეტისათვის დიდი პატივია — უმასპინძლოს ასეთი მაღალი დონის კონფერენციას, რომელიც სახელმწიფო ენის სწავლების საკითხებს ეძღვნება. მიმაჩნია, რომ კონფერენციასზე წარმოდგენილ რეკომენდაციებს გაითვალისწინებენ საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი დახვეწისა და განხორციელების პროცესში. ამ რეკომენდაციებს პირველ რიგში ჩვენ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები გავიზიარებთ, რათა გვექმნდეს ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით ერთიანი პოლიტიკა და მიდგომა. ამ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ არა მხოლოდ მეცნიერებისა და განათლების სფეროს წარმომადგენლები და უცხო ქვეყნიდან ჩამოსული ექსპერტები, არამედ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-თანამშრომლები. მიმაჩნია, რომ ეს რეკომენდაციები არა მხოლოდ სომეხ და აზერბაიჯანულ სტუდენტებზეა გათვლილი, არამედ თურქი სტუდენტებისთვისაც, რომლებსაც ჩვენს უნივერსიტეტში ქართული ენის შესწავლისთვის ერთ წელს ვუთმობთ. თუ შემუშავდება ერთიანი მიდგომა და შეიქმნება ქართული ენის სწავლებისთვის სპეციალური სახელმძღვანელოები, ეს ყველაფერი სასარგებლო იქნება.

## კონფერენციის თემატიკა

ბათუმში გამართული საერთაშორისო კონფერენციის პარტნიორები იყვნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი. ფინანსური მხარდაჭერა გახლდათ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. კონფერენციამ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი, მისი მოადგილე ნოდარ სურგულაძე, სომხეთის განათლების მინისტრის მოადგილე, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი სულხან სისაური, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი ვია აბულაძე, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის წარმომადგენლები, საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებისა თუ ინსტიტუტების პროფესორ-მასწავლებლები და მათი კოლეგები შევიცარიდან, თურქეთიდან, ესტონეთიდან, ლატვიიდან, გერმანიიდან...

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო შემდეგი მოხსენებები: სახელმწიფო პროგრამა „ქართული ენა სამოქალაქო წარმატებისათვის“ (ანა ქებაძე, თამარ კეკელიძე — საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, ზოგადი განათლების სამმართველო); სახელმწიფო პროგრამა: „კვალიციური მასწავლებლები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლებში“ (მაია ჭილაშვილი — საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი“); ბილინგვური განათლების პროგრამების ეფექტურობის განსაზღვრული ფაქტორები (შალვა ტაბატაძე — სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი, თსუ); პრობლემები და გამოწვევები სახელმწიფო ენის სწავლებისას მულტილინგვური განათლების დახვეწვის პროცესში (ლილიტა გრიგუაძე — ლატვიის უნივერსიტეტი); მულტილინგვიზმის შესახებ ფინეთში (ეკატერინა პროტასოვა — ჰელსინკის უნივერსიტეტი); „ენობრივი პოლიტიკა და მოთხოვნები სახელმწიფო ენისადმი ესტონეთში: სტატისტიკა და ცვლილებები (კატრინა რაიკი, ტარტუს უნივერსიტეტიდან არსებული ნარვის კოლეჯი); „მეტაკომუნიკაციის კონცეფციის როლი და ფუნქცია — არავრებალურ კომუნიკაცია ინგლისურის, როგორც უცხო ენის, სწავლის პროცესში“ (უგურო დემირეი, ილქურ ისტიფი — ანადოლუს უნივერსიტეტი); ბავშვთა უფლება და ენობრივი განათლება (ბეატრიც შულტერი — პესტოლოცის ბავშვთა ფონდი, საერთაშორისო პროგრამების დირექტორი); „ესტონური ენა, როგორც სწავლებისა და სახელმწიფო ენა, ესტონეთის რუსულენოვან სკოლებში“ (ირენე კოსაარო — ესტონეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ზოგადი განათლების დეპარტამენტი); „გენდერის გავლენა გავარდნის მოსმენის სტრატეგიის გამოყენების სიხშირეზე“ (ფუნდა გერჩეკი — ანადოლუს უნივერსიტეტი); „ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეები ლატვიის სკოლებში: პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“ (ზენა ანსპოვა, დაცე დალიზა — ლატვია, V); „ეპოსტლის გამოყენების მნიშვნელობა სტუდენტ-პრაქტიკანთა პროფესიულ განვითარებაში“ (ისმაილ ჰაკი მირიჩი — აკდენიზის უნივერსიტეტი); „კავკასიუმის“ კორპუსის მოსამზადებელი ღონისძიებები“ (ოსტ გიპერტი — მაინის ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტი); „ზოგადი განათლების შეფასების ასპექტები ლატვიის უმცირესობათა სკოლებში“ (კარინა ბრიკმანე — ლატვია) განათლების ეროვნული ცენტრი და ლაიმა გეიკინა — ლატვიის უნივერსიტეტი; „ერთობლივი სწავლება მეორე ენის შესწავლის პროცესში ინტერნეტის საშუალებით“ (ზეკი კაია — თურქეთი) გაზის უნივერსიტეტი).

რაც შეეხება შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამართული სექციური მუშაობისა წარმოდგენილ მოხსენებებს, თემატიკა ასეთი გახლდათ: კონცეპტისა და ფორმის ურთიერთდამოკიდებულება (იზოლდა ჩხოზაძე — აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ენობრივი სიტუაციის მოდელირება ტერიტორია და ცნებათა მანიპულირების მეშვეობით (ზაალ კივიცი, ირინე ჩანანიძე — აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი); მოსწავლის ენობრივი „მე-კონცეფციის“ როლი ქართულს, როგორც მეორე ენის, ათვისების პროცესში (მზია წერეთელი, ია აფთარაშვილი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი); საქართველოს ენა — მხატვრული თარგმანი — პოლიტიკური იდეოლოგია ქართული საბჭოთა სინამდვილის მაგალითზე (ნანა გაფრინდაშვილი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ქართულის, როგორც მეორე ენის, ფლობის დონის შეფასების საკითხისათვის (კახა გაბუნია — სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი, თსუ) და სხვ.

# ლევან ზარიძის აქვავებული სიტყვები

ლევან ზარიძე პროფესიით სტომატოლოგია. ამ მიმართულებით იგი 10 წლის მანძილზე მუშაობდა, თუმცა შემდეგ სამსახურის დატოვება მოუწია და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხვდა. ახლა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სპეციალისტია და, როგორც თავად ამბობს, გარემო, რომელიც აქ დახვდა, მისთვის, როგორც შემოქმედით ადამიანისთვის, ბევრად უფრო შესაფერისი და საინტერესოა. მას მეორე პროფესიაც აქვს, რომელსაც ვერ შეისწავლი, რადგან ამისათვის ნიჭი უნდა გქონდეს... როგორც თვითონ ამბობს მუზა 16 წლისამ „დაიჭირა“ და მას შემდეგ წერს.

## ნატო ოზოლაძე

„ლექსების წერა 1993 წელს დაიწყო, სურვილი თავისით მოვიდა, გარემოც მძიმე იყო... არ იყო შუქი, გაზი...“ — იხსენებს ლევან ზარიძე. მისი ლექსები პერიოდულად იბეჭდებოდა ჟურნალებში „ცისკარი“. კარგად ახსოვს ომი აფხაზეთში, შემდეგ 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილეც გახდა და ეს მოვლენები მის ლექსებშიც აისახა. ლევან ზარიძეს ამ დროისთვის ერთი ლექსების კრებული აქვს გამოცემული, სახელწოდებით „კაცის ცრემლში ჩატეული მთვარე“. წიგნის რედაქტორი მწერალი, მეცნიერი, თსუ-ის პროფესორი ტრისტან მახაური გახლავთ. იგი პოეტის ომის თემატიკაზე შექმნილ ერთ-ერთ ლექსს, რომელიც მის მეგობარს გურამ ციხელაშვილს ეძღვნება, ასე ახასიათებს: „ეს ლექსი იმის დასტურია, თუ როგორ თავისებურად განიცდის ავტორი სამშობლოს სიყვარულს. ომის თემაზე წარსულში უამრავი ლექსი შექმნილა, ახლაც იწერება და მომავალშიც ბევრი დაიწერება, მაგრამ ეს ლექსი თუ ომს ეძღვნება, ძნელად გაიგებს ომის თემაზე დანერგულ ხმაურთან ლექსებს შერჩეული მკითხველი. ამ ლექსში ზარბაზნების გრიალი არ ისმის, არც საომარი შეძახილები და

დაჭრილობა კვება თუ წყევლა-კრულვაა. აქ ავტორმა ნაცვლად „ფიქრის საკაკანო“, ხოლო ზურგს უკან — „ბალი ედემის“, — ამბობს ტრისტან მახაური.

ლევან ზარიძე იმ პოეტთაგან ერთ-ერთია, რომლის ლექსებიც სომეხმა ახალგაზრდა პოეტებმა ედუარდ ჰარენცმა და როზანა მოსკანიანმა სომხურად თარგმნეს და თანამედროვე ქართულ პოეტთა ანთოლოგიის ორენოვან კრებულში — „აყვავებული სიტყვები“ შეიტანეს.

„ლექსების გარდა 3 მოთხრობაც მაქვს დანერგილი. ჩემს შემოქმედებაში სხვადასხვა თემატიკაა ასახული, სტიქიურად ვწერ... 2010 წლის დეკემბერში თბილისის მერიამ და საქართველოს მწერალთა კავშირმა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პოეზიის საღამო გამართა. ამის შემდეგ ქართველ თანამედროვე პოეტთა ანთოლოგია „მერანი“ გამოიცა, სადაც საკმაოდ ბევრი პოეტის ლექსები დაიბეჭდა. ამ წიგნიდან ამოარჩიეს ის პოეტები, ვისი ლექსებიც სომხურად თარგმნეს. ეს ინფორმაცია მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა მომინათა და მე, რა თქმა უნდა, დაავითხმედი, რადგან ფიქრობ, როდესაც სხვა ქვეყნის მკითხველი გაიცნობს შენს ლექსებს, ეს წინ გადადგმული ნაბიჯია. სომხეთში მისი



\*\*\*  
ერთხელ სიზმარში მაინც შემეჩნდი, ჩემი ლამაზი ცრემლის სამცვერედა, გვიან მოდიან ჩემს სიცოცხლეში, მაგრამ მალევე უყვართ გაქცევა. მარტობასაც გულს ვეღარ ვუღებ, ღმერთის ღიმილსაც მატრებს ციდან და ამ ქვეყნიდან შენს ლანდთან ერთად სიზმრების გავლით გაპარვა მინდა.

**გურამ ციხელაშვილს**

ჩემს უკან ფიქრის საკაკანოა, შენს უკან, მგონი, ბალი ედემის. მოგვიტაცებენ არაგველები, სამშობლოსათვის თუ დავეცემით.

გახელებული იმედი ნივის, უკვე გავლილი დღეა ადვილი, უნდა მოვნათლოთ ქართული მთვარე — ღრუბლის აკვნიდან გადმოვარდნილი.

გავემგზავრეთ, ჩვენმა მეგობრებმა კარგი დახვედრა მოგვიწყვეს. გამართა წიგნის პრეზენტაცია და შეხვედრები ირანელ და სომეხ პოეტებთან, — განაცხადა ლევან ზარიძემ.

წიგნის თანამედროვე ქართველ პოეტთა ანთოლოგიის პრეზენტაციაზე გაუღერდა ახალი იდეა, რის მიხედვითაც იგეგმება კავკასიის პოეტთა ანთოლოგიის გამოცემა. კრებულში ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ჩერქეზი, ჩეჩენი ახალგაზრდა პოეტების ლექსები შევა. სავარაუდოდ, ერთ-ერთი პოეტი, რომლის შემოქმედებაც კავკასიის პოეტთა ანთოლოგიაში დაიბეჭდება, ლევან ზარიძეც იქნება.

მკითხველისთვის ლევან ზარიძის შემოქმედების გაცნობის მიზნით გთავაზობთ ერთ-ერთ ლექსს, რომელიც თანამედროვე ქართულ პოეტთა ანთოლოგიაში — „აყვავებული სიტყვები“ შევიდა.

## სად შეიძლება საინტერესოდ გაატარო ზაფხული?

საგამოცდო სესიების ციებ-ცხელების შემდეგ სტუდენტები დასვენებისთვის მზადებას იწყებენ. ზოგი საითაც ქარი დაუბერავს, იქით მიდის, ზოგს თსუ-ის ე.წ. მალლივის კორპუსთან მიაქვს „შეზლონი“, ზოგს კი მალლივისგან შორსაც კი უნდა გაქცევა, ზოგი დასვენებას არ აპირებს და ბიზნესის გაფართოებას სურს, ნაწილს საოცრებათა ქვეყნისაკენ გაუწევიან, ნაწილს კი ვერ ნიჭი ელოდება წინ, შემდეგ ჰავაის კუნძულები და ბოლო გაჩერება გლდანში აქვს... რამდენიმე სტუდენტს კი რეკონსტრუქციის კურსს უნდა დასრულებს — ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. სოციალურ ქსელზე „Facebook“-ში განთავსებულ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ პროფილზე დასმულმა კითხვამ — სად გსურთ ზაფხულის გატარება? სტუდენტებს ფანტაზია გაუღვივა, რაც მათ პასუხებშიც აისახა: „სახლიდან შორს, სადმე ჯუნგლებში“, „იქ, სადაც ვერავის ვერ ვნახავ“ და ა.შ. მთავარი კი ყველასთვის გამოცდების დროულად და „მშვიდობიანად“ ჩამთავრებაა. რაც შეეხება დასვენებას, ამისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო სტუდენტებს სხვა საინტერესო სიახლეებსაც ვპირდება.

### ნატო ოზოლაძე

წელს სტუდენტების მისაღებად მზად არის ანაკლიის ბანაკი, სადაც ერთდროულად 350 ადამიანს შეუძლია დასვენება. ბანაკი 15 ივნისიდან ამოქმედდება და იქ უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არა ერთი სტუდენტი ისვენებს. ანაკლიაში მოსახვედრად ახალგაზრდებს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში უნდა წარედგინათ განცხადება, რის შედეგადაც 10 დღის განმავლობაში სრულიად უფასოდ შეძლებდნენ დასვენებას.

საზაფხულო დასვენების საინტერესო პროექტებს სთავაზობს სტუდენტებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც. ვისაც სასარგებლოსთან სასიამოვნოს შეთავსება სურს, ბათუმში საზაფხულო სკოლაში შეეძლება დასვენება, რომლის გახსნაც აგვისტოშია დაგეგმილი. როგორც თსუ-ის სტუდენტი თვითმმართველობის პრეზიდენტმა დაჩი გუბაძემ გვითხრა, ამჟამად ორგანიზატორები სპონსორის მოძიებას ცდილობენ.

„დავგეგმილი გვაქვს საერთაშორისო ფესტივალი „ერთა ხმა“, რომელიც საკმაოდ დიდ სახსრებს მოითხოვს. წელს გვინდა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ბანაკის გახსნაც, ალტურ-ვილობა უკვე შექმნილი გვაქვს, თუმცა ეს საკითხი ზუსტად ფესტივალ „ერთა ხმის“ დასრულების შემდეგ გადაწყდება. გვსურს, რომ ბანაკმა ერთდროულად 50 სტუდენტის მიღება შეძლოს. ვეცდებით, ეს პროექტი წელსვე განვახორციელოთ, — განაცხადა დაჩი გუბაძემ.

ბათუმში ივლისის შუა რიცხვებიდან ამოქმედდება საზაფხულო სკოლა, რომელიც ბათუმის საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზებით გაიხსნა. ზღვაზე დასვენების პარალელურად სტუდენტებს ადამიანის უფლებებისა და კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით შეეძლება ლექციების მოსმენა. საზაფხულო სკოლის სპონსორი საქართველოში ბრიტანეთის საკონსულტაციო გახლავთ.



„ჯერ ბათუმში დავისვენებ, შემდეგ კი საირმეში ვაპირებ ნასვლას. ბათუმში საზაფხულო სკოლაში ვიქნები, რომელიც ბათუმის საკონსტიტუციო სასამართლოსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ არის ორგანიზებული. ყველა მსურველს შეეძლო მონაწილეობის მიღება, ვისაც სამართლის მიმართულებით რაიმე საგანი ჰქონდა გავლილი, — გვითხრა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა ანა თავხელიძემ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით 2011 წლის ზაფხულში სტუდენტებს საქართველოში ტრადიციული ხელოვნებისა და ფოლკლორის პირველ საერთაშორისო ფესტივალზე — „ერთა ხმაზე“ დასწრებაც შეეძლება. ფესტივალში 10 ქვეყნის — იტალიის, პოლონეთის, ბულგარეთის, მაკედონიის, კვიპროსის, ბელორუსიის, თურქეთის, კორეის, სომხეთისა და საქართველოს წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას და, შესაბამისად, ახალგაზრდები მათ კულტურასაც გაეცნობიან. კონცერტები ბათუმში, ანაკლიასა და ქუთაისში გაიმართება, ანუ იქ, სადაც ზაფხულის ხიბლი ყველაზე მეტად იგრძნობა და სადაც თსუ-ის სტუდენტობის უმრავლესობა დატვირთული სასწავლო წლის შემდეგ აპირებს დასვენებას.


## ახალი წიგნი თაროზე

ან გარდაცვლილი უნივერსიტეტის პროფესორის მიხეილ ქურდიანისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის ეკა ვარდოშვილის ავტორობით ახლად გამოცემულმა მონოგრაფიამ „წმინდა ანდრია პირველწოდებულისა და წმინდა ნინოს სახისმეტყველების პარადიგმული და სინტაგმატური ასპექტები“ მეცნიერულ წრეებში დიდი გამომსაურება გამოიწვია.

წიგნის ავტორებს ანტირესტავრაციული — რამდენად ტრადიციულად აისახება ქრისტიანული სახისმეტყველებითი პარადიგმა აკაკი ერეთლის ნაკლებად ცნობილი ორ პოემაში: „წმინდა ანდრია პირველწოდებული“ და „წმინდა ნინო“.

პროფესორ მიხეილ ქურდიანს სიცოცხლეშივე ჰქონდა ვარაუდი, რომ ქართლის მოქცევის თარიღია 326 წელი. ამის მეცნიერულად დასაბუთება სრული სახით მეცნიერმა ვერ მოასწრო. მას სწორედ ამ წიგნში უნდა ამის ახსნა. იგი ფიქრობდა, რომ მეორე ვრცელ გამოცემაში იგი სრულყოფილად შეეხებოდა აღნიშნულ საკითხს. რაც შეეხება წიგნს „წმინდა ანდრია პირველწოდებულისა და წმინდა ნინოს სახისმეტყველების პარადიგმული და სინტაგმატური ასპექტები“, მასში ავტორებმა: ეკა ვარდოშვილმა და მიხეილ ქურდიანმა დაასაბუთეს, რომ როდესაც აკაკი ერეთელი წმინდა ნინოს ცხოვრების პოეტურ ვერსიას ქმნიდა, სარგებლობდა წმინდა ნინოს ცხოვრების მაშინ ცნობილი ხუთივე რედაქციით და რომ პოეტმა გაითვალისწინა ის ბიბლიურ-ქრისტიანული ტრადიციები, რითაც ნასაზრდოებია ძველი და ახალი ქართული მწერლობა. წიგნში მოთხრობილია, როგორ იყენებდა დიდი პოეტი აღნიშნულ წყაროებს.

მონოგრაფია განკუთვნილია ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობისა და ლიტერატურის ისტორიის სპეციალისტთათვის, საუნივერსიტეტო განათლების სამივე საფეხურის სტუდენტთათვის და მკითხველთა ფართო წრისათვის. მისი შინაარსობრივი ასპექტების გაცნობის პირველი მცდელობა გხვდება წიგნის პრეზენტაცია, რომელიც საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ოფისში შედგა. წიგნის არსსა და მნიშვნელობაზე ვრცელ სტატიას ახალი სასწავლო წლის დასასრულში, გაზეთის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.



მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედაქციის წევრები:	მისამართი:
მთავარი სამცხალისტი	მაია ტორაძე	რისმაგ გორდენიანი, ნოდარ ბელქანი, იაკო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ვაჟა კიკნაძე, დიანა ძიძიგური, ნანა ჭილაძე, თეა ჯულელი	ილია ჭავჭავაძის გამზ. 11*
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე		(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
ფოტოკომპიუტერული	ლიკა პეტრიაშვილი		
კონსპექტი. უზრუნველყოფა	ზაზა გულაშვილი		